



შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი“

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
სპეციალობა: საბანკო საქმე

სამაგისტრო ნაშრომი

საქართველოს კომერციული ბანკების წლიური მოგება

2015-2019 წლებში, ტენდენციები და ანალიზი

სტუდენტი: დავით ალავიძე

ხელმძღვანელი: პროფესორი, სიმონ თავართქილაძე

თბილისი

2020 წ

სარჩევი

შესავალი	2
თავი I.....	6
კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობა.....	6
არსი და მნიშვნელობა.....	6
1.1. საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ცვლილებები.....	21
თავი II საბანკო დაწესებულების ლიკვიდურობის, აქტივების სტაბილურობის მნიშვნელობა და არსი	30
2.1. კომერციული ბანკების ლიკვიდობა და მისი რისკების მართვა.....	33
2.2. ლიკვიდობის რისკის რეგულირება საქართველოში.	46
2.3. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად	48
2.4. საქართველოს საბანკო სისტემა ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში	50
2.5. ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის პრობლემა.....	55
თავი III. საბანკო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი	57
3.1. ბანკის მომგებიანობის კოეფიციენტის ანალიზის მეთოდები.	62
3,2 საქართველოს კომერციული ბანკების მომგებიანობის მდგომარეობის მიმოხილვა.....	67
3,3 საბანკო სექტორის წმინდა მოგება, 2012-2019 წ	72
3,4 საქართველოს კომერციული ბანკების მომგებიანობა 2020 წლის მდგომარეობით.....	78
დასკვნა.....	82
გამოყენებული ლიტერატურა.....	85

შესავალი

ზოგადად საბანკო დაწესებულების/საწარმოს მდგრადობა, ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს მისი ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის უნარს. რაც უფრო ხანგრძლივია და სტაბილურია მისი მდგრადი პოზიცია ამ მიმართებით, მით უფრო სანდოა და საიმედოა იგი. მარტივად, რომ განვმარტოთ, საბანკო დაწესებულების/საწარმოს მდგრადობა, ფინანსური სტაბილურობა მის მყარ ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს. „პირობითად, თუკი ბანკი ბოლო 3-5 წლის განმავლობაში შეუფერხებლად აწარმოებს საბანკო ოპერაციებს, გასცემს სესხებს, ფარავს დავალიანებებს, ეზრდება ლიკვიდურობის მაჩვენებლები და არის მომგებიანი, მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და მასთან ურთიერთობა ყველა სუბიექტისათვის სასარგებლო და უსაფრთხოა.“¹

ამ შემთხვევაში საბანკო დაწესებულების შეუფერხებელი საბანკო ოპერაციების წარმოების, გადახდისუნარიანობით, საკრედიტო რესურსის ფართე შესაძლებლობებით დაინტერესებულია არა მხოლოდ თვით ამ საბანკო დაწესებულების მენეჯმენტი, არამედ, მათთან ურთიერთობაში მყოფი ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი.

საბანკო დაწესებულების იზოლირებულად ფუნქციონირება შეუძლებელია - არ არსებობს. ამა თუ იმ მომსახურე კომერციულ ბანკში წარმოქმნილი არასტაბილურობა ჯაჭვური გადაცემის რეაქციის მსგავსად, მთელ მის კლიენტურაზე, მომსახურეობაში მყოფ ყველა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირზე ვრცელდება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ საბანკო ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა და საწარმოთა საერთო რაოდენობას ამიტომ, კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობა საზოგადოების ფართე ინტერესებშიც შედის.

1

ი.ჭილაძე. (2011). *ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) გვ.90*. თბილისი.

საბანკო დაწესებულების ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი და ცალსახად დამაჯერებელი მაჩვენებელი კი მისი მყარი, სტაბილური მომგებიანობაა.

საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობათა მოდელი თავის თავში ავტომატურად მოიაზრებს, რომ მდგრადობა და მომგებიანობა ბანკების მუშაობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. თუმცა, საბაზრო ურთიერთობებში კომერციული ბანკების საქმიანობის

ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია გარკვეულ დროში და არეალში სხვადასხვა დარგობრივი, თუ სასაქონლო მოთხოვნა - მიწოდების მოვლენების განვითარებასთან, სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის არასტაბილურობასთან, რაც შესაბამისად აღმოაცენებს საბანკო რისკების სერიას.

მუდმივად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგებათა დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა, ინფლაციის მაჩვენებლები, ვალუტის მცურავი კურსი და ა.შ. ამიტომ, ამა თუ იმ დროში მოვლენათა განვითარება დროში, კონკრეტული გარიგების დადებისას კომერციული ბანკი ვერასოდეს იქნება დარწმუნებული ბოლომდე მის შედეგში, სხვა სიტყვებით, ის ატარებს გარიგების ფინანსური შედეგის რისკს. რომელიც საბოლოოდ კომერციული ბანკების მდგრადობისა და მომგებიანობაზე პირდაპირ პროპორციულად მოქმედებს.

სამაგისტრო ნაშრომში ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს კომერციული ბანკების განვითარების და მომგებიანობის ტენდენციები და ანალიზი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულ იქნა ეკონომიკური მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზის და შედარებითი მეთოდები. ნაშრომში მეტნაკლებად წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშების საფუძველზე,

საქართველოში დღეისათვის მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების, აქტივების, ლიკვიდურობის და მომგებიანობის ძირითადი მაჩვენებლები.

2020 წელს, მსოფლიო პანდემიამ კოვიდ - 19 მა შესატყვისი ეკონომიკური შედეგი გამოიწვია, ამ რისკის წინასწარ გათვალისწინება, თითქოსდა შეუძლებელიც იყო. წინა წლის ბოლოს დაგეგმილი თუ პროგნოზული მაჩვენებლები და შესატყვისი ანალიზები ასიმეტრიული და გამოუსედაგარი გახდა. შესაბამისად, კომერციული სტრუქტურებში (მათ შორის ბანკებში) წინასწარ გათვლილი ერთწლიანი ყველა საპროგნოზო მაჩვენებელი (მათ შორის რისკების, ლიკვიდურობის, მომგებიანობის და სხვა) მცდარი და ერთი შეხედვით რეალობასთან სრულიად აცდენილი აღმოჩნდა. მითუმეტეს წინა წლების მონაცემებთან

შედარება და რაიმე გრძელვადიანი მომდევნო ტენდენციის გამოკვეთა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ზოგადად, მსოფლიოში პანდემიის ბუნების, მოქმედების, გავრცელების არეალის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე ზემოქმედების დონის არცოდნის, გარკვეული გაუგებრობის, დაბნეულობის პირობებში ეფექტურად ვერ იქნა გამოყენებული ვერც მოკლევადიანი, უახლოესი და მიმდინარე პერიოდის (კვირა, თვე, კვარტალი) რისკების შეფასების და პროგნოზული გათვლის შესაძლებლობები.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები:

- საქართველოს კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა;
- საბანკო დაწესებულების ლიკვიდურობის, აქტივების სტაბილურობის ანალიზი და მეთოდოლოგია.
- კომერციული ბანკების მომგებიანობის ანალიზი;

ამასთან შევეცადე, მიმდინარე მსოფლიო პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, კრიზისული ეკონომიკის პირობებში საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობის მაჩვენებლები წარმომეჩინა. ამ მიმართებით, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პერიოდში ჯერ კიდევ წლიური მონაცემები დაჯამებული, გაანალიზებული და გასაჯაროებული არ იყო. შესაბამისად 2020 წლის ძირითადი მონაცემი კვარტალური და „ცდომილებიანი“ პროგნოზირებული წლიურია.

დასაწყისისთვის მინდა ვისაუბრო იმაზე თუ რა გზა გაიარა საქართველოში კომერციულმა ბანკებმა და რა მნიშვნელობა გააჩნიათ მათ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სფეროს განვითარებას ჯერ კიდევ 1991 წელს ჩაეყარა საფუძველი, თუმცა აქვე უნდა ვახსენოთ, თავდაპირველად ძალიან მინიმალური სახსრები იყო საკმარისი იმისთვის რომ დაგეარსებინათ ფინანსური ორგანიზაცია (ბანკი) რაც თავის მხრივ გამოუცდელობაზე და მაღალ რისკებზე მიგვითითებდა, ბანკები იმ დროისთვის სანდო არ იყო, ხშირი იყო მათი მხრიდან საზოგადოების გამოყენება მათი თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება და შემდგომ გადაგდება, ზოგჯერ კი ქვეყნიდანაც გარბოდნენ. რამაც რათქმაუნდა ხალხში ბანკების მიმართ უნდობლობა კიდევ უფრო გაამძაფრა. თუმცა როდესაც ჩამოყალიბდა

ეროვნული ბანკი და შეიქმნა ბანკების მაკონტროლებელი ინსტიტუტები საგრძნობლად გამოსწორდა ვითარება და საზოგადოების ნდობის ფაქტორიც შეიცვალა.

ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რაც საქართველოს მაგალითზე რომ ვთქვათ, საბანკო სექტორი არის ერთერთი მსხვილი დამსაქმებელი საზოგადოების ასევე ბანკები ახდენენ ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზაციას და მათი საინვესტიციო მარაგებად გარდაქმნას სწორედ ბანკები წარმოადგენენ საფინანსო შუამავლობის 99%-ს. ასევე როგორც სხვა ბიზნეს ორგანიზაცია ბანკებიც იხდიან გადასახადებს და ამასთან დიდ სარგებელს უწევენ სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებს თავისი საქმის საწარმოებლად. თვალსაჩინოებისთვის, რომ უკეთ მივხვდეთ თუ რა ძალა და რესურსები გააჩნია კომერციულ ბანკებს.

საქართველოს ბაზარზე 2020 წლის მდგომარეობით 15 ბანკი ფუნქციონირებს, ამათგან 14-ბანკში უცხოური საწესდებო კაპიტალი მონაწილეობს, 2019 წლის მონაცემებით საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები წარმოადგენილია 464,7 მლნ ლარით, ხოლო საბანკო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 25 ათას ადამიანზე მეტია, ამ მონაცემებზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ სწორედ საბანკო სექტორი არის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი რგოლი.

საბანკო საქმიანობისთვის და სწორად განვითარებისთვის აუცილებელია შეინარჩუნონ ფინანსური სტაბილურობა რაც გულისხმობს რომ მოცემულ ვადებში დაფარონ ვალდებულებები და მაქსიმალურად ეცადონ მოახდინონ ქვეყანაში არსებული თავისუფალი ფულადი რესურსების აკუმულირება, ფინანსურ სტაბილურობას ადვილად დავადგენთ ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლის საშუალებით თუ რამდენად ლიკვიდურია ბანკი პირდაპირ მიგვითითებს მის ფინანსურ სტაბილურობაზე და სანდოობაზე, თუმცა სადაც ჩნდება ლიკვიდობის მაჩვენებელი იქ გარკვეული რისკები დგება მაღალი მომგებლიანობის მაჩვენებელთან,

როდესაც ვახსენებთ მომგებლიანობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკი თავს ართმევს თავისი ძირითადი ფუნქციების სწორად მუშაობას კაპიტალის მოზიდვიდან კრედიტების გაცემით დამთავრებული, ბანკის მომგებლიანობა განისაზღვრება მისი აქტიური და პასიური ოპერაციებიდან შემოსავლების მიხედვით, მოგების მართვა არის საბანკო მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება სადაც ჩნდება რისკი ლიკვიდურობის შენარჩუნების სწორედ

ეს არის მენეჯერების მთავარი საზრუნავი შეინარჩუნონ მომგებლიანობის მაღალი მაჩვენებელი ისე რომ არ შეექმნას ბანკს ლიკვიდურობის რისკი.

ამ და სხვა პრობლემების თუ მდგომარეობის გამოსასწორებლად და გასაკონტროლებლად უდიდეს როლს თამაშობს ეროვნული ბანკი რომელიც ქმნის თანაბარ კონკურენტულ ბაზარს, აწესებს წესებს და კანონებს რათა სწორედ მოხდეს საბანკო სექტორის განვითარება და მათ საქმის წაროება, ამა და სხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებ უფრო ვრცლად და საფუძვლიანად ვისაუბრებ ნაშრომის მომდევნო თავებში.

თავი I

კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობა

არსი და მნიშვნელობა

ფინანსური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. ამდენად, ფინანსური სტაბილურობა და მისი ანალიზი ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტებისთვის, მათ შორის კომერციული ბანკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. შესაბამისი რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი შეიმუშავებს საპასუხო პოლიტიკას ამ რისკების შემცირებისთვის. აღნიშნულ პროცესში ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებითა და "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონით. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მთლიანად ფინანსური სექტორის, საბანკო დაწესებულებების გამჭვირვალობას და მომხმარებელთა და ინვესტორთა

უფლებების

დაცვას.

ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური სისტემის მიერ ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. ამისათვის საჭიროა ფინანსური შუამავლობის და საბაზრო ინფრასტრუქტურის (საგადახდო სისტემების) ეფექტიანი ფუნქციონირება, ფინანსური სისტემის მდგრადობა შოკების მიმართ და სისტემური რისკების შემცირება.

„ფინანსური სტაბილურობა ასევე გულისხმობს ფინანსური სექტორის განვითარებას და ფინანსური ბაზრების გაღრმავებას. ეფექტიანი ფინანსური შუამავლობის პირობებში, დეპოზიტების მოზიდვა და სესხების გაცემა სისტემური შეფერხების გარეშე ხორციელდება. ასევე, ოპტიმალურია ფინანსური რისკების შეფასება, ფასში ასახვა და გადანაწილება, ხოლო რეგულირების ტვირთი არ აღემატება რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში გაწეულ ეკონომიკურ და სოციალურ დანახარჯს.“¹

საბანკო სისტემის მდგრადობა გულისხმობს, რომ ფინანსური ურთიერთობების სისტემა უნდა ინარჩუნებდეს ეფექტიანობას შოკისა და სტრესის პირობებში. თუმცა, მდგრადი ფინანსური სისტემა არ გამოირიცხავს ფინანსურ სირთულეებს რომელიმე ცალკე აღებულ კომერციულ ბანკსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტში.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკის სტაბილურობა საბანკო სექტორის სტაბილურობაზე დგას. საბანკო სექტორში წარმოშობილ პრობლემებს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის (შემოსავლებისა და დასაქმების შემცირება) გამოწვევა მარტივად შეუძლია. ამასთან, საბანკო სექტორი მოსახლეობის ნდობაზეა დაფუძნებული. ორი აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, ყველა ქვეყნის ხელისუფლება აკვირდება საბანკო სექტორის სტაბილურობას, რომ პოტენციური პრობლემების შემთხვევაში, დროულად მოახდინოს რეაგირება. საბანკო სექტორის ზედამხედველობას ძირითადად ქვეყნების ეროვნული ბანკები ან სპეციალური სამსახურები ახორციელებენ.

უკვე ათ წელზე მეტია, საქართველოში ბანკი აღარ გაკოტრებულა. მოხდა ბანკების შერწყმა, საქმიანობის დასრულება და ა.შ., მაგრამ ბანკის მენაბრეები არ დაზარალებულან. ეს მნიშვნელოვანწილად ბანკებზე ზედამხედველობის გაწევამ განაპირობა.

1

ი.ჭილაძე. (2011). *ფინანსური ანალიზი გვ. 102*. თბილისი.


დღეს საქართველოში ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე ზედამხედველობას სეპ–ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი ახორციელებს. კომიტეტის მთავარი ამოცანაა, შეაფასოს და გააანალიზოს ფინანსური სტაბილურობის რისკები და შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა მათ აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად. კომიტეტი ადგენს ე.წ. მაკროპრუდენციური პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორცაა: კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერი, სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების ლიმიტები, კაპიტალის დამატებითი მოთხოვნა, ლიკვიდობის მოთხოვნა და სხვა.

კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერის მიზანი დაკრედიტების ჭარბი ზრდისას წარმოქმნილი სისტემური რისკებისგან საბანკო სისტემის დაცვაა. ბუფერი გაიზრდება მაშინ, როდესაც კომიტეტი მიიჩნევს, რომ ბანკების მიერ დაკრედიტების ჭარბი ზრდა ხდება, რამაც შესაძლებელია, სისტემური რისკების დაგროვება გამოიწვიოს. ხოლო რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში კონტრაციკლური ბუფერის მოთხოვნა შემცირდება, რაც ბანკებისთვის დამატებით კაპიტალს გამოათავისუფლებს და დაეხმარება ფინანსურ სისტემას, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შემცირდეს.

კონტრაციკლური ბუფერი დგინდება კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებზე დანამატის სახით. მისი მოცულობა განისაზღვრება რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების მიმართ 0%-დან 2.5%-მდე შუალედში. კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერის დადგენისას, კომიტეტი სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) ფარდობას და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის ინდიკატორებს ითვალისწინებს.

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა 2018 წლის 1 მარტის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება კონტრაციკლური ბუფერის უცვლელად – 0%-ზე დატოვების შესახებ. კომიტეტის შეფასებით, მიმდინარე პერიოდში, საერთო დაკრედიტების ზრდა შეესაბამება ნომინალური მშპ-ის ზრდას. 2017 წელს სესხების წლიურმა ზრდამ (ლარის გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით), 16.7% შეადგინა. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 22.3 მილიარდ ლარს მიაღწია. სესხების ფარდობა მშპ-სთან 60%-ის ფარგლებშია და ახლოსაა მის გრძელვადიან, საიმედო ტრენდთან. კომიტეტმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანია, საკრედიტო ზრდა ეკონომიკური აქტივობის თანაზომიერი იყოს და სესხების ზრდა ხელს უწყობდეს ეკონომიკის მდგრად ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობას ისე, რომ ფინანსური სტაბილურობის ჭარბი რისკები არ დაგროვდეს. რადგან ბუფერი 0%-ზე შენარჩუნდა, ეს ნიშნავს, რომ 2018 წლის მარტში

ეკონომიკაში ჭარბვალუანობის პრობლემა არ არსებობდა. თუმცა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული შინამეურნეობების დავალიანება მშპ-ის 32%-ს შეადგენს და ახლოსაა შესადარი ქვეყნების მედიანურ მაჩვენებელთან, აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში შედარებით სწრაფად იზრდება, რაც გარკვეული რისკების მატარებელია.




წყარო: სები
 *სესხები მოიცავს ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიერ გაყვნილ სესხებს
 ** სესხების მშპ-სთან ფარდობის გაბო წარმოადგენს სესხების მშპ-სთან ფარდობის გადაბრას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან.

საბანკო სექტორის სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ლიკვიდობის დონე – ბანკის უნარი, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე დააფინანსოს აქტივების ზრდა და დაფაროს ვალდებულებები მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის დასკვნით, საბანკო სექტორი მაღალ ლიკვიდობას ინარჩუნებს, ხოლო უმოქმედო სესხების წილი მთლიან დაკრედიტებაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით – 2017 წლის მე-2 კვარტალის შემდეგ. დოლარიზაცია, მიუხედავად 2017 წელს საგრძნობი შემცირებისა, ფინანსური სექტორისთვის კვლავ ერთ- ერთ მთავარ გამოწვევად რჩება (საბანკო სისტემის მგრძობიერება სავალუტო რისკის მიმართ კვლავ მაღალია). კომიტეტის შეფასებით, უცხოური საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი ზრდის ფონზე, განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოური ვალუტის ვალდებულებების

მაღალი წილი ბანკების დაფინანსებაში. თუმცა ამ ეტაპზე საბანკო სექტორი უცხოურ ვალუტაშიც მაღალ ლიკვიდობას ინარჩუნებს.

საბანკო სექტორის სტაბილურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია მოგებიანობის (უკუგების) კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) და კაპიტალზე (ROE). აღნიშნული კოეფიციენტები დადებით კორელაციაშია სექტორის სტაბილურობასთან. მათ ბოლო წლების მაქსიმალურ მაჩვენებელს (ROA – 3.8%, ROE – 27.6%) 2017 წლის მესამე კვარტალში მიაღწიეს, მას შემდეგ კი კლება დაიწყო. თუმცა, ბოლო რამდენიმე წელს თუ ვნახავთ, საერთო ჯამში სექტორში მოგებიანობას ზრდის ტენდენცია აქვთ.




მნიშვნელოვანია ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივი კლასიფიკაცია. 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით **90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელის 3.7 პროცენტს შეადგენს**, რაც რეგიონშიც და, ზოგადად, საქართველოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ეს სტატისტიკა მიუთითებს, რომ, საშუალოდ, მსესხებლები წარმატებით ემსახურებიან სესხს. თუ კლიენტი დროულად ფარავს ვალდებულებას, მას საურავი არ დაეკისრება. შესაბამისად, მარტივი არითმეტიკაა, რომ საქართველოში ბანკების მომხმარებელთა მიერ გადახდილი ჯარიმები კოლოსალური თანხა ვერ იქნება.


ბანკების საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია
ხარისხის მიხედვით

კატეგორიები	მლნ ლარი	წილი მთლიან სესხებში
სტანდარტული	19 830	89%
ნეგატიური სესხები	2 446	11%
საყურადღებო	1 108	5%
უმოქმედო სესხები	1 337	6%
არასტანდარტული	757	3.4%
საეჭვო	271	1.2%
უიმედო	310	1.4%
სულ	22 276	100%

„თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკის“
აქციების ფასების დინამიკა




90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული
სესხების წილი მთლიან სესხებში




სებ-ის ინფორმაციით, 2018 წელს 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელის 2.81 პროცენტს შეადგენს, რაც აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებს შორის ერთ- ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. საქართველოს მაჩვენებელი მხოლოდ ესტონეთის ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება.

2017 წლის ბოლოს საბანკო სესხების (ბანკთაშორისი სესხების გარეშე) 89% სტანდარტული, ანუ უპრობლემო სესხები იყო. შესაბამისად, 11% იყო ნეგატიური სესხები, თუმცა მათგან მხოლოდ 1.4% (310 მლნ ლარი) იყო უიმედო სესხი. აღსანიშნავია, რომ ნეგატიურ სესხებს შემცირების ტენდენცია აქვს. მაგალითად, 2016 წლის მარტში მათი წილი დაახლოებით 16% იყო.

უმოქმედო და ვადაგადაცილებული სესხები საბანკო სექტორში, %



სესხებისა და დეპოზიტების დოლარიზაცია საბანკო სექტორში, %



ასევე აღსანიშნავია, რომ 2016-2019 წლებში ბანკებში დამკვიდრებული სესხის გაცემის სტანდარტები ითვალისწინებდა სესხის მომსახურების ისეთ მაჩვენებლებს, რომ მსესხებელს დარჩენოდა საკმარისი თავისუფალი სახსრები, რათა მოულოდნელი უარყოფითი შოკების რეალიზების შემთხვევაშიც კი არ შეექმნას ფინანსური პრობლემები. ამის დამადასტურებელია

ის ფაქტი, რომ სავალუტო კურსის რყევების მიუხედავად, ვადაგადაცილებული სესხების წილი არ გაზრდილა და უცხოურ ვალუტაში მსესხებლებმა შეძლეს სესხების მომსახურების გაგრძელება, რაშიც ბანკების მიერ განხორციელებულმა სესხების სხვადასხვა ფორმით რესტრუქტურისაციებმაც შეასრულეს თავისი როლი

საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ზრდაზე მიუთითებს ლონდონის საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი ორი ქართული ბანკის – “თიბისი ბანკისა” და “საქართველოს ბანკის” აქციებზე ფასების მატებაც. “საქართველოს ბანკი” 2012 წლიდან არის ლონდონის ბირჟაზე, ხოლო “თიბისი ბანკი” – 2016 წლიდან.

ზოგადად, საქართველოს ეკონომიკა გლობალურ საფინანსო ბაზარზე სულ 3 კომპანიის მეშვეობით არის წარმოდგენილი, ესენია - “თიბისი ბანკი”, “საქართველოს კაპიტალი” და “საქართველოს ბანკი”.

წლის დასაწყისში როცა კორონა ვირუსის პანდემია ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე იყო, საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე წარმოდგენილი ქართული კომპანიების აქციების ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2020 წლის მარტის ვაჭრობის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე BGEO-ს აქციების ღირებულება მთელი 22%-ით გაიზარდა და ის ამჟამად 9.92 გირნავჯა სტერლინგს შეადგენდა. დღის განმავლობაში 20.47%-ით გაიზარდა. TBC-ის აქციების ღირებულება იმჟამად 7.65 გირვანჯა სტერლინგი ღირდა.

უნდა ითქვას, რომ 2020 წლის მარტში ზრდას მხოლოდ ქართული კომპანიის აქციები არ განიცდიდა, მზარდია მთლიანად ლონდონის საფონდო ბირჟის ინდექსიც, FTSE 100 ვაჭრობის დაწყებიდან 9%-ით გაიზარდა. FTSE 250-ის ინდექსი კი 8.37%-ით იყო გაზრდილი.

2020 წლის აგვისტოს თვეში მდგომარეობა ძალზე მნიშვნელოვნად არა, მაგრამ შეიცვალა. ვაჭრობის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე არსებული ქართული კომპანიების უმეტესობის აქციების ფასი შემცირდა.

BGEO-ს აქციების ღირებულება 2.38%-ით შემცირდა და ამჟამად ერთი აქციის ფასი 9.04 გირნავჯა სტერლინგს შეადგენს. ამ კლების შედეგად, კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი 10 მილიონი ფუნტით შემცირდა და იმჟამად 444.5 მილიონ გირვანჯა სტერლინგს შეადგენს. საფონდო ბირჟის მონაცემების თანახმად, “საქართველოს ბანკის” აქციებით ვაჭრობის მოცულობა აგვისტოში 2,783,719 გირვანჯა სტერლინგი იყო.

იმავე აუქციონზე TBC PLC-ის აქციების ღირებულების ცვლილება კი +2.25%-ს შეადგენდა,

შედეგად, ბანკის ერთი აქცია 9.07 გირვანქა სტერლინგი ღირდა. აქციების ფასის შემცირების გამო, თიბისის საბაზრო კაპიტალიზაციამ 10.5 მილიონი გირვანქა სტერლინგით გაიზარდა და ამჟამად 500 მილიონს შეადგენს.

მთლიანობაში 2020 წლის განმავლობაში ლონდონის საფონდო ბირჟაზე ქართული კომპანიების აქციების ღირებულება შემცირდა. წლიურ ჭრილში

TBC PLC-ის ერთი აქციის ღირებულება 2020 წლის ბოლო ვაჭრობის შედეგად 12.50 გირვანქა სტერლინგი გახდა. წლის დასაწყისში კი ერთი აქცია 12,98 გირვანქა სტერლინგი ღირდა. შესაბამისად, წლიურ ჭრილში „თიბისის“ აქციების ღირებულება 3,69%-ით გაიფდა. ამასთან, წლის ბოლოს TBC PLC-ის საბაზრო კაპიტალიზაცია 690.55 მილიონს გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

საქართველოს ბანკის (BGEO) ერთი აქციის ღირებულებამ წლის ბოლოს 12,20 გირვანქა სტერლინგს შეადგინდა, მაშინ, როცა 2020 წლის დასაწყისში მისი ფასი 16,62 გირვანქა იყო. შესაბამისად, წლიურ ჭრილში BGEO-ს აქციების ღირებულება 26,59%-ით შემცირდა. ამჟამად კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია 618.55 მილიონს გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

ფინანსური სტაბილურობის ძირითადი ინდიკატორებისა და ტენდენციების განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საბანკო სექტორი 2016-2019 წლებში საკმაოდ სტაბილურად ვითარდებოდა და ამასთან, სტაბილურობის დონე უმჯობესდება.

ბოლო, ბოლო პერიოდში განვითარებულმა გლობალურმა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა საფონდო ბირჟებზე განთავსებული კომპანიების ფასების მკვეთრი შემცირება განაპირობა, რაც, რა თქმა უნდა, აისახა ბირჟაზე განთავსებული ქართული კომპანიების აქციის ფასებზეც და შეამცირა კომპანიების ზომა (საბაზრო კაპიტალიზაცია)

სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედა ლარის კურსის მნიშვნელოვნად გაუფასურებამ 2015-2016 წლებში, თუმცა 2017-2019 წლებში პანდემიური პერიოდის დადგომამდე დასაშვებ ფარგლებში სტაბილურობის მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

ლარის ღირებულებას სხვა ვალუტებთან მიმართებით არა მხოლოდ ფინანსური და საბანკო სექტორი არამედ ძალიან ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. კურსის ცვლილების მიზეზები დამოკიდებულია როგორც საგარეო, ასევე შიდა მიზეზებზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე, ფულად გზავნილებზე და მათ შორის პანდემიაზეც კი, თუმცა სანამ უშუალოდ ამ

მიზეზებს შევხებით, ჯერ კარგად განვმარტოთ, თუ რატომ იცვლება ლარის კურსი ყოველდღიურად.

ვალუტის კურსზე საუბრისას პირველ რიგში ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლარი, დოლარი, ევრო და ნებისმიერი სხვა ვალუტა ისეთივე პროდუქტია, როგორც ტელევიზორი და ელექტროენერგია. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალუტის ფასიც ჩვეულებრივ მოთხოვნასა და მიწოდებაზეა დამოკიდებული. საქართველოში მოქმედებს მცურავი რეჟიმი, რაც ვალუტის ღირებულების თავისუფალ ბაზარზე მინდობასა და სახელმწიფოსგან მინიმალურ ჩარევას გულისხმობს.

საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შემოსვლა პირდაპირ აისახება კურსზე, შემცირდა - ფულადი გზავნილი, ინვესტიცია, ტურისტის დახარჯული ფული. გაიზარდა - საგარეო ვალი.

ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე „2019 წლის მესამე კვარტალში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი წინა კვარტალთან შედარებით აშშ დოლარის მიმართ 6.6%-ით, ხოლო ევროსთან 5.5%-ით გაუფასურდა. ლარი რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთანაც გაუფასურდა, შესაბამისად, 6.6% და 10.3%-ით. ამავე პერიოდში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 6.6%-ით, ხოლო წლიურად კი 12.6%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ფასების დონით დაკორექტირებულ გაცვლით კურსს, 2019 წლის მესამე კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 6.4%-ით, ხოლო წლიურად კი 12.3%-ით გაუფასურდა.

ეფექტური გაცვლითი კურსის ასეთი გაუფასურება, ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შესუსტების გარეშე, ინფლაციურ წნეხს აჩენს. წინა პერიოდების შემთხვევაში, ეფექტური გაცვლითი კურსის ამ ზომის გაუფასურების შემდეგ, როგორც წესი, ადგილი ჰქონდა გაცვლითი კურსი მეორე მიმართულებით შემოტრიალებას. ნომინალური ეფექტური კურსის მცირედ განსხვავებული სურათია სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შესწორებული წონებისა და მომსახურების გათვალისწინებით. კერძოდ, ამგვარად შესწორებული ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი მესამე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით 6.8%-ით, ხოლო წლიურად - 13.0%-ით გაუფასურდა. მიმდინარე პერიოდში გაცვლით კურსზე ტურისტული შემოსავლების კლების მოლოდინი უარყოფითად აისახა. რამდენადაც, ბოლო პერიოდის მონაცემებით, ტურისტული შემოსავლების კლება იმაზე მეტი არაა, ვიდრე ეს ეროვნული ბანკის თავდაპირველი მოლოდინი იყო, შესაძლოა,

ვივარაუდოთ, რომ გაუფასურების მიზეზებში ამ მიმართულებით რისკების აღქმის ზედმეტად გაუარესება უფრო მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, ამავე დროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებული დონეც აღსანიშნავია. მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის გაუფასურება საგარეო დისბალანსის აღმოფხვრას ხელს უწყობდა.“¹ „2019 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო პოლიტიკას მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმში ახორციელებდა, რაც ეროვნულ ვალუტაზე ფასწარმოქმნის საბაზრო პრინციპების შენარჩუნებას გულისხმობს. ამავე დროს, სავალუტო პოლიტიკის გატარებისას, ეროვნული ბანკი ითვალისწინებდა საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნების ამოცანასაც. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების ადეკვატური დონე, განსაკუთრებით მაღალი დოლარიზაციის ქვეყნებში, საგარეო შოკებისადმი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ითვალისწინებს ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში: თუ ადგილი აქვს ჭარბი კაპიტალის დროებით შემოდინება-გადინებას, რომელიც კურსის მკვეთრ მოკლევადიან რყევას გამოიწვევს; საერთაშორისო რეზერვების შესავსებად; სახელმწიფო საგარეო ოპერაციების დასაბალანსებლად; არაფუნდამენტური, ერთჯერადი ფაქტორების შედეგად გაცვლითი კურსის ჭარბი მერყეობით შექმნილი ინფლაციური მოლოდინების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად.

2019 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ახალი ინსტრუმენტი - სავალუტო ოფციონები - ამოქმედდა. სავალუტო ოფციონი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს აძლევს უფლებას (და არა ვალდებულებას) ვალუტის გადაცვლა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს. საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის თებერვალ-აპრილის თვეებში კომერციულ ბანკებს სთავაზობდა ერთი თვის ვადიანობის სავალუტო ოფციონს ლარის ყიდვის უფლებით. ამ ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს

1

ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. (2019 წ). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. მოპოვებული <https://www.nbg.gov.ge/>-დან

უფლება ჰქონდათ ეყიდათ ლარი უცხოური ვალუტით (აშშ დოლარით) ეროვნული ბანკისგან წინასწარ განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, ხოლო ეროვნული ბანკი ვალდებული იყო შესაბამისი ოდენობის ლარი მიეწოდებინა.

2019 წლის პირველ ნახევარში სავალუტო ბაზარზე პოზიტიური მოლოდინებით გამოწვეული ლარის კურსის გამყარება აღინიშნებოდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში რუსეთის ტურისტულმა ემბარგომ და მასთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა მოლოდინებმა ლარის კურსზე მნიშვნელოვანი ზეწოლა გამოიწვია. შესაბამისად, თუ წლის დასაწყისიდან 6 თვის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებისა და სავალუტო ოფციონების საშუალებით 216 მლნ აშშ დოლარი შესიყიდა, აგვისტო-ნოემბერში, ინფლაციურ პროცესებზე დამატებით ზეწოლის შემცირების მიზნით, 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

საანგარიშო წელს სავალუტო აუქციონებით წმინდა შესყიდვებმა 72.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში კი სავალუტო აუქციონებისა და სავალუტო ოფციონების ინსტრუმენტით 2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 123.5 აშშ დოლარი შეადგინა.

მდგომარეობა შეიცვალა პანდემიის პირველი და მეორე ტალღის პირობებში. 2020 წლის მესამე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.1%-ით გამყარდა, ხოლო ევროსთან 5.0%-ით გაუფასურდა. ლარი გამყარდა თურქული ლირისა და რუსული რუბლის მიმართ, შესაბამისად, 5.8% და 2.8%-ით. ამავე პერიოდში, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 0.7%-ით გამყარდა, ხოლო წლიურად კი 0.2%-ით გაუფასურდა.¹


რა თქმა უნდა წინა 2019 წლის შესაბამის მესამე კვარტალთან შედარებით აღნიშნული ყველა მაჩვენებლები გაუარესებულია.

¹ საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2019 წ გვ.16-17
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf დაწ

ლარის კურსი დოლართან მიმართებაში

წლების მიხედვით

2010 - 2021



1

სავალუტო ბაზრის უცხოური ვალუტით მიწოდების მხარდასაჭერად 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა 26 სავალუტო აუქციონზე, საერთო ჯამში, 873.222 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. 2021 წელს ჩატარდა ერთი აუქციონი და სებ-მა ბაზარს 40 მლნ აშშ დოლარი მიაწოდა.

❖ დღეის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მთლიანი სავალუტო რეზერვები, 3.5 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლებში რეზერვების დაგროვების პოლიტიკის შედეგია. წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული ფინანსური დახმარება ასევე შეავსებს საერთაშორისო რეზერვებს და გაზრდის ეროვნული

1

ლარის კურსი დოლართან მიმართებაში. (თ. გ.). ბიზნეს პორტალი. მოპოვებული www.lari.ge:
<https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD>-დან

ბანკის შესაძლებლობას სავალუტო ინტერვენციების გზით მიაწოდოს საჭირო უცხოური ვალუტა ბაზარს.

რაც შეეხება ფასების დონის დიფერენციალით დაკორექტირებულ გაცვლით კურსს, 2020 წლის მესამე კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 0.9%-ით გაუფასურდა, ხოლო წლიურად კი 0.8%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ „რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურება ფიქსირდება ზოგიერთ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან მიმართებაში, თუმცა რუსეთის, თურქეთის და უკრაინის ვალუტებთან მიმართებაში კურსი გამყარდა. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შესწორებული წონებისა და მომსახურების გათვალისწინებით, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის დინამიკა მცირედით განსხვავებულია, ვიდრე ოფიციალური წონებით. კერძოდ, ამგვარად შესწორებული ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი მესამე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით 1.0%-ით გამყარდა, ხოლო წლიურად 1.2%-ით გაუფასურდა“¹

ფინანსური სტაბილურობის ანგარიში საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური გამოცემაა. ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე, ფინანსური სექტორის სტრუქტურულ მახასიათებლებსა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობისთვის. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში ასევე მოიცავს ადგილობრივი ფინანსური სისტემის მდგრადობის ანალიზს. გარდა ამისა, ანგარიშში ვრცელდება წარმოდგენილი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, დეტალურადაა მიმოხილული მთლიან საბანკო სისტემაზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული ღონისძიებები და ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის ზრდისკენ მიმართული მიკროპრუდენციული ზომები.

1

ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. (2019). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. მოპოვებული www.nbg.gov.ge:
https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/finstability_2019_geo_publish.pdf-დან

ეროვნული ბანკის როლია, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით ეკონომიკის მთლიანი ხარჯვის მოცულობასა და ინფლაციის მოლოდინებზე ზემოქმედება, რაც საბოლოოდ ინფლაციის სამიზნე 3%-იან მაჩვენებელზე დაბრუნებას უზრუნველყოფს. დაბალი და სტაბილური ინფლაცია ხელს უწყობს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისეთი გამოწვევის დროს, როგორცაა მიმდინარე პანდემია, რადგან ამან გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის სანდოობა არ შეარყიოს.

2020 წლის დასაწყისიდან COVID-19-ის გავრცელებამ მსოფლიო ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა. ვირუსის გავრცელების შეკავების მიზნით კომპანიებისათვის დაწესებულმა რეგულაციებმა სხვადასხვა პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხარჯები გაზარდა, რაც ფასებზეც შესაბამისად აისახა. მიუხედავად ამისა, როგორც მოველოდით, სუსტი მოთხოვნის გამო, ინფლაციამ შემცირება დაიწყო და თანდათან უახლოვდება 3 პროცენტთან სამიზნე მაჩვენებელს. ჩვენი შეფასებით, ინფლაცია საშუალოვადიან პერიოდში შემცირებას განაგრძობს. თუმცა, ვითვალისწინებთ ინფლაციური მოლოდინების მხრივ არსებულ რისკებს და, ამ ეტაპზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი იგივე დონეზე, 8.0%-ზე, დავტოვეთ, რაც, არსებული ვითარების გათვალისწინებით, შედარებით გამკაცრებული პოზიციას.

ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ეკონომიკაზე სრულად დაახლოებით 4-6 კვარტალში აისახება. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკა ჩვენი პროგნოზების შესაბამისად განვითარდა, ინფლაციის შემცირების პარალელურად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებაც გახდება შესაძლებელი. საპროცენტო განაკვეთების შემცირება ეკონომიკას გაჯანსაღებაში დაეხმარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის. ამის საპირისპიროდ, თუ გამოიკვეთა ინფლაციის მოლოდინებზე ზრდის მიმართულებით მოქმედი ფაქტორები, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის უფრო ხანგრძლივად შენარჩუნება შეიძლება გახდეს საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენ ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ლარის მსყიდველობითი უნარის დასაცავად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3%-იან მაჩვენებელს დაუბრუნდება. სარჩევი მოკლე მიმოხილვა

სტაბილურობის მაღალი დონის მიუხედავად, დღეისათვის გამოწვევაა ის, თუ რა გავლენას იქონიებს 2020 წლიდან საბანკო სექტორში ამოქმედებული და უახლოეს მომავალში ასამოქმედებელი ახალი რეგულაციები.

ახალ რეგულაციებს სტაბილურობაზე ორივე მიმართულებით ექნება გავლენა. კონკრეტულ შედეგებს მომავალი გვიჩვენებს,

1.1. საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ცვლილებები

2017 წლიდან, ბოლო სამი წლის განმავლობაში საბანკო სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით რამდენიმე სერიოზული ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო საკანონმდებლო დონეზე. ასევე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ახალი რეგულაციები შეიმუშავა, დახვეწა და დანერგა. ამ რეგულაციების შესახებ სები აკეთებდა განცხადებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, საფინანსო სექტორი მას სრულყოფილად მომზადებული ვერ შეხვდა. ეს დაანონსებული ცვლილებები შეიძლება სამ ბლოკად დავყოთ.

1. ცვლილებები ორგანულ კანონში “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ”, რომლის მიხედვით ეროვნულ ბანკს მიეცა სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და სხვა) და ცვლილებები კანონში “კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ, რომლებიც 2017 წელს განხორციელდა.

მათი დიდი ნაწილი მიმართულია სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ასამაღლებლად. კიდევ უფრო გაფართოვდა სების უფლებამოსილება და ცვლილების მიხედვით ის ზედამხედველობას გაუწევს არა მარტო ბანკებს, არამედ საბანკო ჰოლდინგებში შემავალ საბანკო ინსტიტუტებს; სრულებით შეიზღუდა ბანკების მიერ ისედაც რეგულირებული, არასაბანკო აქტივების ფლობა და სებს საშუალება მიეცა, უფრო ეფექტიანი გახადოს საბანკო ჯგუფების კონსოლიდირებული ზედამხედველობა.

2. ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, აღსანიშნავია ცალკეული სიახლეები, რომელთა მიზანია საბანკო ინსტიტუტებში გამჭვირვალობისა და კორპორაციული მართვის სტანდარტების ამაღლება. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა აამაღლა კრიტერიუმები ბანკების აქციონერებისა და

ადმინისტრატორების მიმართ და დაამკვიდრა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის - დამოუკიდებელი დირექტორის ცნება და სხვა.

2017 წელს დამტკიცდა და უკვე ამოქმედდა ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული “კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი”, რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. “კორპორაციული მართვის დებულება” და “ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი”, რომელთა მიღებას რეგულატორი უახლოეს მომავალში გეგმავს, კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და ბანკების ფუნქციონირების გამჭვირვალობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

3. სიახლეების შემდეგი რიგი შეეხება კომერციული ბანკების უსაფრთხო ფუნქციონირებას. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის “ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების” შესაბამისად, ბაზელ 3-ის ფარგლებში, კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა “კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება” (ცვლილება), “პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი”, “სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე”, “კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრა”.

ასევე, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program - GRAPE) მიხედვით და სხვა. ეს მნიშვნელოვანი და საგრძნობი სიახლეები ბანკებისაგან მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის უფრო მაღალ კოეფიციენტს ან შემოსავლიანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, რაც ბანკების აქტივობის შენელებას და მოგებიანობის შემცირებას გამოიწვევს.

2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სების ახალი ინსტრუქცია ფასს 9-ის (IFRS 9) სტანდარტების დანერგვის შესახებ. “ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების” ახალი სტანდარტი მოწოდებულია ჩაანაცვლოს “აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები” (IAS 39).

სების მიერ გამოშვებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელო ძირითადად გამიზნულია “ფინანსური ინსტიტუტების” სასესხო პორტფელის რისკიანობის შეფასებისათვის. არსებითი განსხვავება აქამდე მოქმედ სტანდარტთან მიმართებით ის არის, რომ ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის რეზერვი უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის, და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. მომავალში სასურველია, რომ სესხების დარეზერვებისა და კლასიფიკაციის ეროვნული სტანდარტები, რომლებიც პარალელურად არსებობს სების ინსტრუქციის სახით, მაქსიმალურად დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

ფასს 9 სტანდარტის ამოქმედება საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რაც გამოიწვევს პერსონალის შრომითი დანახარჯების ზრდას და ახალ ინვესტიციებს პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში. შესაბამისად, ესეც აისახება ბანკების მოგებიანობაზე.

2017 წელს განახლებული რეგულაცია “კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ” გულისხმობს ეტაპობრივად, 2018 წლის 31 დეკემბრამდე მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას 50 მილიონ ლარამდე. ასევე, მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალიზაციის გაზრდისაკენ მიმართული ნორმატიული აქტების გამოშვება.

2018 წლის მაისიდან სებმა შეზღუდა არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების გაცემა ბანკის კაპიტალის 25%-ზე მეტი ოდენობით, რაც ბანკებს უზიძგებს, საკრედიტო დაბანდების გაზრდის შანსები სხვა სეგმენტებში ეძებონ.

არსებული მეთოდოლოგიით, ასევე, რეგლამენტირებულია უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებისათვის მომსახურების კოეფიციენტი. სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ განსაზღვრულ ლიმიტებს, ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საბანკო სექტორი ელოდება ახალ რეგულაციას - სამომხმარებლო სესხებზე მაქსიმალური ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის 50%-ით შეზღუდვის შესახებ. აღნიშნულ ღონისძიებებს სები ახორციელებს “ჭარბვალთანობასთან” ბრძოლისა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის გატარების ნაწილში.

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მთავრობის ინიციატივა მცირე ბიზნესის გამარტივებული დაბეგვრის შესახებ, რაც პოტენციურ მსესხებლებს კანონგარეშე აღარ დააყენებს და ბანკებს საშუალებას მისცემს, ასეთი კატეგორიის მსესხებლები გამარტივებული პროცედურებით

დააკრედიტონ. ამ ბლოკის სიახლეებიც, ერთი მხრივ, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს და, მეორე მხრივ, შეამცირებს საპროცენტო მარჟას, რაც პირდაპირ აისახება ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მოგებიანობაზე.

მინიმალური რეზერვების მოთხოვნის გაზრდას (15%-დან, 20%-მდე), ლიკვიდობის ახალ მოთხოვნას და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებას მოჰყვება მოზიდული სახსრების გაძვირება და/ ან მოგებიანობის შემცირება.

საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც სებმა თავისი რეგულირების ქვეშ მოაქცია ონლაინსესხების კომპანიები, პრუდენციული ნორმები გაავრცელა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ეს გახდა სიგნალი, რომ დაიწყებოდა ამ სეგმენტის სწრაფი კონსოლიდაცია, კაპიტალიზაციის ზრდა და არაკვალიფიციური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა,

სებმა შემოიღო “სესხის გამცემი” სუბიექტის დეფინიცია და მასში მოხვედრილი სუბიექტებიც დაექვემდებარენ რეგულირებას. ამ პროცესში ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბაზრის ყველა, დიდი და პატარა მოთამაშისათვის თანაბარი და სამართლიანი ეკოსისტემის შექმნა.

2019 წელს საბანკო-საფინანსო სექტორის სურათი 2017 წლის ვითარებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. მოკლევადიან პერიოდში ამან მოიტანა საცალო დაკრედიტების შენელება, საბანკო სექტორში ხარჯების ზრდა, კაპიტალზე მოთხოვნის ზრდა და მოგებიანობის ზრდის ტემის შემცირება, გრძელვადიან პერიოდში კი, იმედი ვიქონიოთ, ქართული საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ საფინანსო ინსტიტუტების ბაზარზე ახალი ეტაპი იწყება - ლიბერალურიდან გადავდივართ რეგულირებად რეჟიმზე. აქამდე ქართული ბანკების ცალკეული წარმომადგენლების წარმატებებისათვის წინა მიდგომას ხელი არ შეუშლია, თუმცა მთლიანად საფინანსო ინსტიტუტებისათვის დრო მოვიდა განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

ერთ რამ ფაქტია, განხორციელებულმა ცვლილებებმა მეტნაკლებად დადებითად იმოქმედა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის განსამტკიცებლად და შეუწყო ხელი საბანკო სექტორის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდგომ, საქართველოს საბანკო სექტორის ფინანსური მდგრადობა კითხვის ქვეშ არ დასმულა და უკვე ათ წელზე მეტია, საქართველოში ბანკი

აღარ გაკოტრებულა. ეს მნიშვნელოვანწილად განხორციელებულმა ცვლილებებმა და ბანკებზე ზედამხედველობის გაწევამ განაპირობა.

მაგრამ, დრომ და მსოფლიო პანდემიურმა ვითარებამ გარკვეული სახეცვლილება შეიტანა. ორი მიმართულებით ახალი საჭიროება შეიქმნა. პირველი - შემუშავდა COVID-19-თან დაკავშირებული საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები.

კერძოდ, COVID-19-ის პანდემიის ქვეყნის საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. საგანგებო ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით გადაიდგა: ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება, დროებითი საზედამხედველო გეგმის შემუშავება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამის გაფართოება და სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება.

ე.წ. დროებითი საზედამხედველო გეგმა გულისხმობს საბანკო სექტორის კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების გამოყენებას ფინანსური სტრესის პერიოდში. ეს ნიშნავს არსებული კაპიტალისა და ლიკვიდობის მოთხოვნების შემცირებას, რაც საბანკო სექტორს საშუალებს მისცემს ამ ბუფერების საშუალებით პოტენციური ზარალები გაანეიტრალოს და განაგრძოს ნორმალური ბიზნესსაქმიანობა და რეალური ეკონომიკის დაკრედიტება.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საბანკო სექტორი ჯანსაღია და მას გააჩნია კაპიტალისა და ლიკვიდობის საკმარისი ბუფერები, რომლებიც ეროვნული ბანკის თანმიმდევრული საზედამხედველო პოლიტიკის შედეგად თანდათანობით გროვდებოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები:

■ საბანკო სისტემის ლიკვიდური სახსრებით უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა სვოპ ოპერაციები, რითაც სისტემას აწვდის ლარის ლიკვიდობას. ამ ოპერაციების მიზანია სისტემაში ლიკვიდობის რისკის შემცირება, რათა ლიკვიდობის რისკი არ გახდეს ეკონომიკის დაკრედიტების შემაფერხებელი ფაქტორი. 200 მლნ აშშ დოლარის სვოპ ინსტრუმენტი ბანკებს შორის მათი საბაზრო წილის პროპორციულად განაწილდება. ამასთან, ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად, ერთ ორგანიზაციაზე დაწესდა მთლიანი მოცულობის 25%-მდე ლიმიტი, რაც მცირე ზომის ბანკებისთვის რესურსების ხელმისაწვდომობას გაზრდის. სვოპ ოპერაციების ვადა განსაზღვრულია 1 თვით, შემდეგი 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური განახლების უფლებით.

გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა მუდმივმოქმედი სვოპ ინსტრუმენტი, რაც საშუალებას აძლევს ბანკებს მიიღონ ლარის საჭირო ლიკვიდობა უცხოური ვალუტის სანაცვლოდ საჯარიმო საპროცენტო განაკვეთით.

❖ 2020 წლის 1-ლი ივნისიდან ეროვნულმა ბანკმა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ხელშეწყობისთვის ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტი აამოქმედა, რომელიც განკუთვნილია კომერციული ბანკებისათვის, რომელთაც სასესხო პორტფელის დაგირავების სანაცვლოდ შესაძლებლობა ექნებათ ეროვნული ბანკიდან ლიკვიდობის მხარდაჭერა მიიღონ. ლიკვიდობის მართვის ახალი მექანიზმი 2023 წლის ბოლომდე (2022 წლიდან შემცირებადი გრაფიკით), ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით იმოქმედებს, ხოლო ფასს TIBR1M ერთთვიანი ინდექსი განსაზღვრავს.

❖ 2020 წლის 1 - ლი მაისიდან, ერთი წლის განმავლობაში, ბანკებს შეუძლიათ ლარის ლიკვიდობის მართვისთვის უცხოური ვალუტის ბუფერები გამოიყენონ და ჯამური ლიკვიდობის მოთხოვნა მათი საშუალებით დაიცვან. აღნიშნული კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს უცხოური ვალუტის უზრუნველყოფის საშუალებით მყისიერად, დაბალი დანახარჯებითა და დამატებითი რისკების აღების გარეშე მიიღოს ლარის რესურსი. საჭიროებისამებრ, ბანკები ლარის რესურსს სვოპ ოპერაციების გამოყენებით იღებენ.

❖ ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების შემთხვევაში ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად, ერთ ორგანიზაციაზე დააწესა მთლიანი მოცულობის 25%-მდე ლიმიტი, რაც მცირე ზომის ბანკებისათვის რესურსების ხელმისაწვდომობას ზრდის.

❖ ეროვნული ბანკი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) სვოპ ოპერაციებით ლარის ლიკვიდობას მიაწვდის, რაც საშუალებას აძლევს EBRD-ს ადგილობრივ ვალუტაში კერძო სექტორისთვის დაფინანსება გაზარდოს. სესხები ეროვნულ ვალუტაში ხელმისაწვდომი იქნება კერძო სექტორისთვის, დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში. მხარეებმა პირველი გარიგება 2020 წლის 24 აპრილს დადეს.

❖ კომერციულ ბანკებს შეუმსუბუქდათ კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2,5%-ის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას. აღნიშნული საბანკო სექტორს 1,6 მილიარდი ლარის ოდენობის კაპიტალს გამოუთავისუფლებს, რაც შეიძლება მიიმართოს პოტენციური ზარალების გასაწესებლად ან ეკონომიკის 16 მილიარდი ლარით დასაკრედიტებლად.

❖ კომერციულმა ბანკებმა მსესხებლებს სამთვლიანი საშეღავათო პერიოდი შესთავაზეს, აღნიშნული საშეღავათო პერიოდის შეთავაზებულ აქციებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეარბილა საზედამხედველო მოთხოვნები, რათა მოქალაქეებისათვის ვალდებულებათა გადავადების პროცესში ბანკებს მაქსიმალური მოქნილობა ჰქონოდათ, აღნიშნულ ინიციატივას შეუერთდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილი.

❖ 2020 წლის ივნისში ასამოქმედებელი "რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება" 1 წლით გადაავადდა. აღნიშნული საშუალებას მისცემს ბანკებს არ შეწყვიტონ რეალური ეკონომიკის დაკრედიტება მკაცრი ლიმიტებით და განაგრძონ აქამდე არსებული წესების ფარგლებში მუშაობა. აღსანიშნავია, რომ დებულების ივნისში ამოქმედებისა და შესაბამისად, ლიმიტების საზედამხედველო კაპიტალის ნაცვლად, პირველად კაპიტალზე გაანგარიშების შემთხვევაში, 5 ბანკს ერღვეოდა ტოპ 1 მსესხებელთა ჯგუფის 25%-იანი ლიმიტი, რაც ჯამურად 109 მლნ ლარს შეადგენს.

❖ ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე გამოცხადდა დროებითი მორატორიუმი, რათა ბანკებს საშუალება ჰქონოდათ რესურსების მაქსიმალური მობილიზება არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ გააკეთონ.

❖ მიმდინარე შოკის გავლენიდან გამომდინარე (მაგ. კურსის გაუფასურება, რეზერვები/ზარალები), საქართველოს ეროვნული ბანკი არ გამოიყენებს საჯარიმო სანქციებს. აღნიშნული ეხება მხოლოდ ეკონომიკური ლიმიტების (კოეფიციენტების) დარღვევას და არ ეხება სხვა ტიპის საკანონმდებლო დარღვევებს.

❖ საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, ამოქმედდა სავალუტო ვაჭრობის ახალი მექანიზმი ბლუმბერგის Bmatch პლატფორმა, სადაც პირველ ეტაპზე ხდება ბანკთაშორისი ვაჭრობები, ხოლო მალევე მოხდება არასაბანკო კერძო სუბიექტების ჩართვაც, რამაც საშუალება მისცა მათ პირდაპირი წვდომა ჰქონოდათ სავალუტო რესურსებთან. ეს პლატფორმა ბაზარს გახდის უფრო დივერსიფიცირებულს, კონკურენტუნარიანს და ლიკვიდურს.

მთლიანობაში კორონავირუსის გამოწვევებს ქართული საბანკო სექტორი მომზადებული შეხვდა. „საბანკო სექტორმა მომენტალურად შეძლო ბიზნეს უწყვეტობისა და თანამშრომლების დაცულობისთვის დისტანცირება, ამავდროულად მოკლე პერიოდში განაცხადა მზაობა სასესხო დავალიანებების 3 თვით გადავადებაზე.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი – ერთი, კონკრეტული ადამიანებისთვის აუცილებელი პირობა იყო ან პერიოდში არ მომხდარიყო მათთვის გადასახადების დაკისრება . მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბანკმა სასესხო გადავადებები გააკეთა დისტანციურად და მაქსიმალური კომფორტი შეუქმნა მსესხებელს.

2020 წლის ივნისიდან საბანკო სექტორი მუდმივ რეჟიმში სწავლობს და რეაგირებს კომპანიების შეცვლილ მოთხოვნებზე და რეალობებზე.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი იყო წინა პერიოდში და 2019-2020 წლების განმავლობაში კომერციული ბანკების შექმნილი კაპიტალის ბუფერების და რეზერვები სისტემა, რომელიც მდგრადი განვითარების საშუალებას იძლევა.

საბანკო სექტორის მიერ COVID-19-ის პანდემიის დაწყების მომენტიდან მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მომხმარებელთა ინტერესები და კომერციული ბანკების კლიენტებმა შეძლეს ესარგებლათ საკრედიტო ვალდებულებების შესრულების გადავადების პირობით, რომლის მიზანს წარმოადგენდა, როგორც კლიენტებისათვის ფინანსური წნეხის შემსუბუქება. უკვე, 2020 წლის 10 ივნისიდან საქართველოს საბანკო სექტორი მომხმარებელს შესთავაზა შემდეგი სახის თანამშრომლობა:

ა) ფიზიკური პირების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი, რომელმაც COVID-19-ის პანდემიის პირობებში დაკარგა შემოსავლის ძირითადი წყარო, აღნიშნულის გათვალისწინებით სახელმწიფოსაგან დაენიშნა შესაბამისი დახმარება, საბანკო სექტორისაგან მიიღო დამატებით საკრედიტო ვალდებულებების შესრულების 3 თვით გადავადების შეთავაზებას.

ბ) ფიზიკური პირების იმ ნაწილს, რომელიც ვერ მოხვდა სახელმწიფო დახმარების პროგრამაში, მაგრამ დაკარგა ძირითადი შემოსავლის წყარო ან შეუმცირდა შემოსავალი იმ ოდენობით, რომ ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ვალდებულებების შესრულებას, კომერციული ბანკები თავიანთ მონაცემებზე დაყრდნობით გამოავლენენ და შესთავაზებენ საკრედიტო ვალდებულებების შესრულების 3 თვით გადავადებას .

გ) ყველა იმ პირის კრედიტის რესტრუქტურისაციის ან/და რეფინანსირების საკითხი, რომელიც არ მოექცევა „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიაში, განხილული იქნება მათი მხრიდან მომსახურე კომერციული ბანკისათვის მიმართვის შემთხვევაში, ინდივიდუალურად და გადაწყვეტილება მიღებული იქნება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, კომერციული ბანკის შეფასების და ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2017 წელს დამტკიცდა და ამოქმედდა ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული “კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი”, რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საფინანსო სექტორის გამჭვირვალობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს. აღნიშნული ანგარიშგებები მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

შესაბამისად, საბანკო სექტორის გამჭვირვალობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. გამჭვირვალობის მაღალი დონე ხელს უწყობს ინფორმაციის ასიმეტრიულობის შემცირებას, საბანკო სექტორის მდგრადობას, მის მიმართ ნდობის ამაღლებას, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მიხედვით. აღნიშნული ანგარიშგებები ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ძირითად ინფორმაციას ბანკის წინაშე არსებული რისკების, საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის შესახებ. **რაც ხელს უწყობს კომერციული ბანკების მდგრადობისა და ლიკვიდურობის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობასა და საჯაროებას**

თავი II საბანკო დაწესებულების ლიკვიდურობის, აქტივების სტაბილურობის მნიშვნელობა და არსი

საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხი უკანასკნელ წლებში თანდათანობით ამალდა, რაც მიღწეულ იქნა საბანკო სისტემაში სტრუქტურული გარდაქმნებისა და სრულყოფის, ცალკეული საბანკო დაწესებულებების სტაბილურობის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებით.

ზოგადი განსაზღვრებით, კომერციული ბანკის ლიკვიდობა არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ანუ ბანკის შესაძლებლობისაგან – დროულად აგოს პასუხი თავისი ვალდებულებების შესრულებაზე დროის განსაზღვრულ მომენტში.

ლიკვიდობა, ამერიკელი ეკონომისტების ს. ლიჰმანის და ჯ. მაკკალის აზრით, გაგებულია, როგორც "ოპტიმალური მოსალოდნელი დრო აქტივის ფულში ტრანსფორმირებისთვის".

მიუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, აუცილებელია მათ შორის განსხვავების დანახვაც. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები, რომ ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუნაროდ მიიჩნევა ბანკი, რომელსაც შეუძლია, ადრე თუ გვიან, შეასრულოს ვალდებულებები, ხოლო ლიკვიდურად – რომელიც განსაზღვრულ ვადაში ასრულებს ყველა ვალდებულებას. არალიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება. დადგენილი ზღვრის მიღწევის შემდეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუნარობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე აქტივები.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი კრიტიკული ზღვრის მიღწევამდე შეძლებს ლიკვიდობის აღდგენას, კრიზისი დროებითი ხასიათისა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუნარობის კრიზისში გადავა და საბანკო საქმიანობისათვის პრაქტიკული შედეგით – ლიცენზიის ჩამორთმევითა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დამთავრდება.

როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და ამ ორივეს განსაზღვრავს ბანკის მომგებიანობა.

საბანკო ლიკვიდურობის არსი და მაჩვენებელთა სისტემა ზოგადად საწარმოს ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს მისი გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის უნარს. საწარმოს ფინანსური სტაბილურობა მის მყარ ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს. თუკი საწარმო გამუდმებით (მინიმუმ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) შეუფერხებლად ფარავს დავალიანებებს და არის მომგებიანი, მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და მასთან ურთიერთობა ყველა სფეროში უსაფრთხოა.

ტერმინი “ლიკვიდური” ლათინურიდან – თხევადს, მოძრავს ნიშნავს. ეკონომიკაში მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და საწარმოში ყველაზე სწრაფად მოძრავი საშუალებების – ფულადი თანხების არსებობას გულისხმობს. ლიკვიდურია ისეთი ქონება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია გადაიქცეს გაცვლის საშუალებად. „ლიკვიდობა თავისი შინაარსით გულისხმობს მატერიალური ფასეულობის ფულად სახსრებად ადვილად რეალიზებადს, მარტივად კონვერტირებადს, სწრაფად გაყიდვადს. ბანკის ლიკვიდობა, მდგომარეობს მის უნარში, დროულად, ანუ დათქმულ ვადაში და სრულად გაისტუმროს ვალდებულებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ესაა ბანკის უნარი, პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე, ოღონდ აქ აღნიშნულია ორი მნიშვნელოვანი მომენტი: სრულად და დათქმულ ვადაში.¹

ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება მიმდინარე აქტივები: ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები. ნაღდი ფული, როგორც აქტივი, აუცილებელია ბანკისთვის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ხოლო კაპიტალდაბანდებები ფასიან ქაღალდებში წარმოადგენს ლიკვიდურობის შენარჩუნების რეზერვს და შემოსავლის მიღების ერთ-ერთ წყაროს.

„რაც შეეხება კრედიტს, იგი გაიცემა შემოსავლის მიღების მიზნით, ხოლო მეორეხარისხოვანი აქტივები წარმოადგენს ე.წ. ფიქსირებულ აქტივებს, რომლებიც არის ბანკის საკუთრება (შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა). დეპოზიტები, როგორც წესი, ბანკის აქტივების დაფინანსების ძირითადი წყაროა. არასადეპოზიტო ვალდებულებები კი

1

ი.კოვზანაძე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა* გვ.194. თბილისი.

წარმოადგენს ლიკვიდურობის გაზრდის საშუალებებს, როცა ეს უკანასკნელი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი ნაღდი ფულით და ფასიანი ქაღალდებით.“¹

ბანკის აქტივები წარმოადგენს მის ძირითად ინსტრუმენტს და, აქედან გამომდინარე, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ, რა ფორმითაა აქტივები ინვესტირებული, რამდენად ექვემდებარება ისინი რისკს და რა მოცულობის ლიკვიდური ფონდები აქვს ბანკს.

„ზოგადად, როგორც წესი უცხოელი ინვესტორები ყურადღებით ეკიდებიან არა მხოლოდ აქტივების ზრდას, არამედ მის შემადგენლობასაც: ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო პორტფელი და მისი სტრუქტურა, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა და ა.შ. ბანკის აქტივების პირველი მუხლი არის ნაღდი ფული. სწორედ ნაღდი ფული და დეპოზიტები „ნოსტრო“ ანგარიშებზე წარმოადგენს ბანკის ლიკვიდურ აქტივს. ნაღდი ფული, განთავსებული ბანკის საცავებში, და ნებისმიერი დეპოზიტები, განთავსებული სხვა ბანკებში (დეპოზიტები ბანკ-კორესპონდენტში), ნაღდი ფული ინკასაციის პროცესში და აგრეთვე რეზერვები, განთავსებული ეროვნულ ბანკში, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პირველად რეზერვებს, წარმოადგენს რესურსების მთავარ წყაროს.

მისი საშუალებით ბანკი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოეშობა გაუთვალისწინებელი დაკრედიტებისას ან კლიენტის მხრიდან დეპოზიტების გამოთხოვნისას.“²

ამასთან, ბანკი ცდილობს, ასეთი სახის რეზერვის დონე არ იყოს ძალიან მაღალი, რადგან მას ან საერთოდ არ მოაქვს საპროცენტო შემოსავალი, ან ძალიან მცირე მოცულობის საპროცენტო სარგებელს იძლევა.

„ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განისაზღვრება: ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მდგომარეობა შესაძლებლობაში ძლევა, აქტივის სახსრების სწრაფი რეალიზაციით დროულად და სრულად დაიფაროს პასივის ვალდებულებები. ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორებისა. ზოგიერთი

1

ი.კოვზანაძე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა გვ.196*. თბილისი.

2

ი.კოვზანაძე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა გვ.201*. თბილისი.

მათგანი აშკარაა, მათიზემოქმედება უეჭველი, სხვები ახდენენ ზემოქმედებას ბანკის ლიკვიდობაზე ირიბად, ამიტომ მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ანალიზის შემდგომ.¹

„ბანკებს, რომლებსაც აქვთ თავისი პასივების ნაწილში გრძელვადიანი წყაროები, შეუძლიათ განახორციელონ საინვესტიციო ოპერაციები და გასცენ გრძელვადიანი სესხები, ხოლო იმ ბანკებს, რომელთა სარესურსო ბაზასაც მოკლევადიანი სახსრები შეადგენენ, შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციები“²

2.1. კომერციული ბანკების ლიკვიდობა და მისი რისკების მართვა

ნებისმიერი კომერციული ბანკის საქმიანობის ზოგადი შეფასება შესაძლებელია ორი ფაქტორის გათვალისწინებით, მომგებიანოვა და საიმედოობა, მათ შორის საიმედოობის განსაზღვრა ხდება ლიკვიდობის მაჩვენებლით თუ რამდენად გადახდისუნარიანია ბანკი. როდესაც ბანკები გვევლინებიან სტაბილური საბანკო სისტემის გარანტად და უზრუნველყოფენ მოსახლეობის მხრიდან საბანკო სისტემისადმი ნდობის ამღლებას, რაც უფრო მაღალ ლიკვიდურია ბანკი მით უფრო სანდოა ის მომხმარებლებისთვის და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით.

კომერციული ბანკის პრობლემების პირველი ნიშანი სწორედ ლიკვიდობაში გაჩენილი პრობლემებია, რომლებიც უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას და მიღებულ იქნას ზომები რათა აღნიშნული მდგომარეობა აღარ განმეორდეს. ადვილი მისახვედრია რომ ბანკისათვის რომელსაც ექმნება ლიკვიდობის პრობლემები, მას თან სდევს სხვა პრობლემებიც ანუ ბანკს ეზღუდება მისი მოქმედების არეალი და უფრო მეტიც ის ვეღარ მონაწილეობს მძაფრ კონკურენტულ ბრძოლაში, უწევს უარი თქვას მომგებიანი და ხელსაყრელი პროექტების დაფინანსებაზე. ამას გარკვეული პერიოდის შემდეგ მოყვება მისი კლიენტების უკმაყოფილებ, იმიჯის შელახვა და შემდეგ კლიენტების დაკარგვა რაც უფრო ამწვავებს მის მდგომარეობას და საბოლოოდ ბანკნოტდება.

1

ი.კოვზანაძე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა გვ.204*. თბილისი.

2

ვ.მოსიაშვილი, ფ. ფ. (2009). *საბანკო საქმე (ლექციების კურსი) გვ. 61*. თბილისი.

ეს რომ არ მოხდეს ბანკმა პირველივე ნიშნებისა და საშიშროებისა როდესაც მის ლიკვიდობას საფრთხე ემუქრება უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები და სწრაფად გამოვიდეს მდგომარეობიდან, უნდა ითქვას ისიც რომ კომერციული ბანკის ლიკვიდობა ანუ მისი უნარი დროულად და სრული მოცულობით შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები ქმნის მის ნორმალურ ფუნქციონირების მყარ საფუძველს საბანკო ლიკვიდობის მნიშვნელობა გამომდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებიდან:

1.საბანკო ლიკვიდობა უზრუნველყოფს კლიენტების მხრიდან ფულზე მოთხოვნას, რათა განახორციელონ გადახდები, ასევე მიიღონ კრედიტი;

2.საბანკო ლიკვიდობა პირდაპირ კავშირშია ბანკის იმიჯთან და სტაბილური ლიკვიდობა მას აძლევს კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების კარგ შანსებს.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ ბანკის ლიკვიდობა განისაზღვრება მისი პასივებისა და აქტივების ვადების მიხედვით დაბალანსებით. რაც უფრო ახლოსაა ვადების მიხედვით დაჯგუფებული პასივებისა და აქტივების მოცულობები ერთმანეთთან მით უფრო ლიკვიდურია ბანკი.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ფაქტები და გარემოებები რომლებიც ზემოქმედებენ ბანკის ლიკვიდობის მაჩვენებელზე, ეს ფაქტორები სამი სახისაა, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ქვეყნის შიდა ფაქტორები და შიდა საბანკო ფაქტორები, განვიხილოთ თითოეული მათგანი,

1.მაკრო ეკონომიკური ფაქტორები, ეს ის ფაქტორია რომლებიც გავლენას ახდენს კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობაზე;

ვითარება საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნების კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე ვინაიდან ეს ბაზრები ითვლებიან საკრედიტო რესურსების განსაკუთრებით ბანკთაშორისი კრედიტების მსხვილ კრედიტორებად.საერთაშორისო საფინანსო ბაზრები მეტად მგრძობიარეები არიან მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებისადმი ხოლო თავის მხრივ ისინი გავლენას ახდენენ სხვა ქვეყნებში საბანკო კრედიტების ფასსა და ხელმისაწვდომობაზე.

რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გეოპოლიტიკურმა ვითარებამ შესაძლოა დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ბანკების გადახდისუნარიანობაზე.

2. **ქვეყნის შიდა ფაქტორებია:** ქვეყნის პოლიტიკურ ეკონომიკური მდგომარეობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე, საბანკო სისტემისა და ბანკთაშორისი

დაკრედიტების განვითარების ხარისხი, ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების მოქნილობა და ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ფუნქციის მოქნილობა,

3. შიდა საბანკო ფაქტორები; მასშ შედის ადეკვატური კაპიტალი, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, პასივების სტრუქტურა და ხარისხი, აქტივ პასივის ვადების მიხედვით შესაბამისობა, ბანკის იმიჯი და მოქნილი მენეჯმენტი, თუ ყველა ეს ფუნქცია გამართულად და სწორად მუშაობს მაშინ ბანკის ლიკვიდურობას საფრთხე არ ემუქრება მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი თუ რომელიმე ერთი მათგანი მაინც მოისუსტებს სერიოზული რისკის ქვეშ დგება კომერციული ბანკის ლიკვიდურობა.

ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელია ვისაუბროთ პრობლემის მოგვარების საკითხზე თუ როგორ და რა გზებით ახერხებენ კომერციული ბანკები ლიკვიდობის მაჩვენებლის შენარჩუნებას და მართვას,

კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა საბანკო მენეჯმენტის მთავარი საზრუნავია, ის გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს რომელიც მიმართულია ერთი მხრივ საბანკო სისტემის, მეორე მხრივ კი ცალკეული კომერციული ბანკების ლიკვიდობის უზრუნველსაყოფისაკენ. ლიკვიდობის მართვა შეგვიძლია განვიხილოთ ორი მიმართულებით; ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვა და თითოეული კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვა. განვიხილოთ თუ რას გულისხმობს თითოეული მათგანი.

1. ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემის ლიკვიდურობის მართვა

ეროვნული ბანკის მხრიდან საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვის მთავარი პრიორიტეტი ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის რეგულირებაა, რითაც იგი აღწევს თავის ძირითად მიზანს, ფასების სტაბილურობას. აღნიშნული მიიღწევა იმით რომ ეროვნული ბანკი გავლენას ახდენს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე რომელთა ცვლილება გადაცემა უფრო გრძელვადიან განაკვეთებს და საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ერთოვლივ მოთხოვნასა და ფასებზე.

კიდევ ერთი ინსტრუმენტი რითაც ეროვნული ბანკი მართავს კომერციული ბანკების ლიკვიდობას არის მათთვის დადგენილი ლიკვიდობის სავალდებულო ნორმები. საქართველოს ცენტრალური ბანკის მხრიდან სისტემის ლიკვიდურობის მართვას

ემსახურება ასევე მის მიერ ორგანიზებული დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS) და „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემა“ .

2.კომერციული ბანკების მხრიდან საკუთარი ლიკვიდობის მართვა

ბანკების მიერ საკუთარი ლიკვიდობის მართვა გამოიხატება ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივების დაცვით. მეორეს მხრივ ეს არის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი რომელიც მოიცავს ლიკვიდობის პროგნოზს, ანალიზს, შეფასებას, კონტროლსა და რეგულირებას.

რათქმაუნდა კომერციული ბანკი მაკროეკონომიკურ და ქვეყნის შიდა ანუ ობიექტურ ფაქტორებზე გავლენას ვერ მოახდენს მაგრამ ლიკვიდობის მართვა მათი მიმართულებით გულისხმობს რომ იგი მზად უნდა იყოს ნებისმიერი ნეგატიური სცენარისათვის. მზადყოფნა კი არის შესაბამისი მენეჯერების კვალიფიკაცია პროგნოზირება კონტროლის ქმედითი სისტემა და ალტერნატიული ანუ რესურსების მოზიდვის გამოუყენებელი რეზერვების არსებობა.

ხოლო რაც შეეხება ბანკის შიდა ფაქტორებს, მათზე გავლენის მოხდენა მთლიანად კომერციული ბანკის მენეჯმენტის ხელშია და მას აქვს ყველა ბერკეტი რათა ეფექტიანად და მინიმალური დანაკარგებით მართოს ლიკვიდობა. ამ მიმართულებით ყველაზე მარტივი გამოსავალი რა თქმაუნდა არის ის რომ შენარჩუნდეს კომერციული ბანკის აქტივებისა და პასივების ისეთი ოპტიმალური სტრუქტურა და ვადების მოცულობა რომლის მიხედვით მიღწეულ იქნეს ერთის მხრივ მომგებიანობის მაღალი დონე და მეორემხრივ ლიკვიდობის ისეთი მაჩვენებელი რომელიც არ შეუქმნის პრობლემას არც ბანკს და არც მის პარტნიორებს. თუმცა ასეთი იდეალური მდგომარეობის შენარჩუნება ძალზე ძნელია ისეთ ბიზნესგარემოში როგორშიც უწყვეტ მუშაობა თუმცა მოკლე პერიოდით ეს სულაც არარის წარმოუდგენელი და დიდი სირთულის მქონე.

ქართული საბანკო რეგულაციით, კომერციული ბანკის დირექტორმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა და სტრატეგია დანერგოს მისი პერიოდული შეფასების სისტემა . მანვე უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მომზადება და მათი კომპენტენციის განვითარება, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

ბანკის ლიკვიდობის პოლიტიკით ხდება ლიმიტების განსაზღვრა რათა თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდობის უკმარისობა. მნიშვნელოვანია რომ დადგენილი ლიმიტები იყოს

თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაგინანსების გეგმას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ გეგმის ეფექტიანი გამოყენება. ლიკვიდობის ლიმიტების დადგენისას მხედველობაში უნდა მიიღებოდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები;

1. რეგულარული დაგინანსების აუცილებლობა ან ჭარბი ლიკვიდობა
2. შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციებთან
3. საერთო ლიკვიდობა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და ლიკვიდობის ნაკლებობის შესაძლებლობა წარსული გამოცდილების საფუძველზე
4. საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და ლიკვიდობის ხელმისაწვდომობა
5. დადგენილი ლიმიტები განხილული და კორექტირებული უნდა იყოს საერთო საბაზრო გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.

გარდა ყოველივე ამისა მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში გვხვდება კიდევ ბევრი სხვა თეორიები ესენია ფულადი ნაკადების თეორია, კომერციული სესხების თეორია, მოსალოდნელი შემოსავლების თეორია და სხვ.

აღინიშნა, რომ ბანკის ლიკვიდობის შეფასებას საქართველოს რეალობაში ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით; ასევე, ბანკის აქციონერები, დაინტერესებულნი ბანკის საწესდებო კაპიტალში ჩადებული საკუთარი სახსრების შენარჩუნებითა და ზრდით. და რაც მთავარის - კრედიტორები და მენაბრეები, რომლებმაც ანდეს ბანკს დროებით თავისუფალი სახსრები;

საბანკო ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, იმ მაჩვენებელთა სისტემამ, რომელიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის, მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები უნდა მოიცვას: - საკუთარი სახსრების საკამრისობის მაჩვენებლები; - აქტიური და პასიური ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და შინაარსის - მიხედვით ურთიერთმიმართების მაჩვენებლები; - აქტივების ხარისხის, ცალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლები; - მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოზიდულ სახსრებს: დეპოზიტური ოპერაციების დივერსიფიკაციის დონე, მოზიდული რესურსების მოცულობა და ხარისხი; - მომგებიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები.

საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობს და აკონტროლებს კომერციული ბანკების ლიკვიდობის სამი სავალდებულო ნორმატივის შესრულებას:

- 1) ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საერთო ვალდებულებებთან;
- 2) მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან;
- 3) საშუალოთვიური ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საშუალოთვიურ საერთო ვალდებულებებთან.

გარდა ამისა, იმ ბანკებში, სადაც აქციონერად ან კრედიტორად გვევლინება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ასევე სავალდებულოა ლიკვიდური აქტივების საერთო აქტივებთან თანაფარდობის ნორმატივის დაცვა.

ამას გარდა, ყოველ მაჩვენებელს, აქვს ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვები, კრიტიკული დონე, დადგენილი ბანკის მიერ, გამომდინარე იქიდან, თუ სად, რომელ ქვეყანაში, როგორია ფუნქციონირების კონკრეტული პირობები და სტრატეგიული მიზნები

ესე იგი ცნება “ლიკვიდურობა” მატერიალური ფასეულობებისა და სხვა აქტივების რეალიზაციის, გაყიდვის, ფულად სახსრებად გარდაქმნის სიადვილეზე მიუთითებს. ხოლო, ცნება “გადახდისუნარიანობა” კი სავაჭრო, საკრედიტო და ფულადი ხასიათის სხვა ოპერაციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ თავის საგადასახადო ვალდებულებების თავისდროულად და მთლიანი მოცულობით შესრულების შესაძლებლობას მოიცავს.

ამრიგად, ლიკვიდურობა გადახდიუნარიანობის „როგორც დამცავი“ და აუცილებელი პირობის როლში გამოდის. რაც უფრო მდგრადი და კონკურენტუნარიანია ბაზარი, მით უფრო ფართო ხდება ცნება - ბანკის ლიკვიდობა „როგორც დამცავი“ პირობა.

ძირითად ნიშნებს, რომელიც ახასიათებს ლიკვიდობას, მიეკუთვნება დრო, ლიკვიდობის წყარო, საგადასახდელი საშუალებების ტიპი და ამ ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის ბანკის ხარჯების სიდიდე.

ლიკვიდობა ბანკის ეფექტური ფუნქციონირების ძირითადი კომპონენტებია. თუმცა, საბაზრო ურთიერთობები როგორც წესი ყოველთვის დაკავშირებულია სხვადასხვა ეკონომიკური რისკებთან, მცირე თუ ხანგრძლივადიან არასტაბილურობასთან. როგორც წესი იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგებათა დადების ფორმა და შინაარსი, მომწოდებლის და მიმღების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ, ბანკის ნებისმიერი გარიგება კლიენტთან ატარებს საბოლოო ფინანსური შედეგის რისკს.

„ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული ლიკვიდური აქტივების სახეობის გათვალისწინებით განასხვავებენ ლიკვიდობას, დაგროვილს ბანკის მიერ (ნაღდი ფული, მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები) და ახლადშემქნილს

(მოზიდული ბანკთაშორისი კრედიტები, საბანკო თამასუქების, სადეპოზიტო და შემნახველი სერტიფიკატების გამოშვება).“¹

თვით, ლიკვიდობის დაკარგვის რისკს აქვს ორი შემადგენელი: რაოდენობრივი და ღირებულებითი. რაოდენობრივი რისკი ბალანსის აქტივზე აისახება - აქვს თუ არა ბანკს ფაქტობრივად აქტივები, რომელთა რეალიზებაც შესაძლებელია. ხოლო ბანკის პასივში - არსებობს თუ არა აუცილებელი მოცულობით სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. რაც შეეხება ღირებულებით რისკს, ის პასივში აისახება. აქტივში კი ფასობრივი რისკი ნიშნავს იმ ფასის უარყოფითი ცვლილების რისკს, რომლითაც შეიძლება გაიყიდოს აქტივები.

ლიკვიდურობის შეფასება საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბანკის აქტიური ოპერაციების შეფასებასთან არის დაკავშირებული. ასეთი მიდგომისას ლიკვიდურობის შეფასება არა მარტო ბანკის საანაგრიშგებო ბალანსების მონაცემებს, არამედ მოგებისა და ზარალის ანაზღაურების შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას, დაფინანსების წყაროების და სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებას და სხვა ფინანსურ ინფორმაციასაც უნდა ითვალისწინებდეს.

ბანკის ფუნქციონირების მთელი პერიოდის მანძილზე მისი საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს ბანკის მატერიალური ბაზის ფორმირებისა და განვითარების ძირითად წყაროს, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ორგანიზაციული ზრდისათვის ხელსაყრელ პირობებს. კომერციული ბანკები ერთის მხრივ აწარმოებენ იურიდიული და ფიზიკური პირებიდან თავისუფალ ფულად სახსრებს, ახდენენ რა ამით საკუთარი რესურსების ბაზის ფორმირებას და მეორეს მხრივ განათავსებენ მას თავისი სახელით დაბრუნების, სისწრაფის და გადახდისუნარიანობის გარანტიით. ამასთან ერთად, კომერციულ ბანკს უფლება აქვს აწარმოოს საბანკო ოპერაციები მხოლოდ საკუთარი რესურსების ფარგლებში. ამ ოპერაციების ხასიათი მკაცრად არის დამოკიდებული ბანკის სარესურსო ბაზის თვისობრივ შემადგენლობაზე. მაგალითად, ბანკს, რომლის რესურსებს მხოლოდ მოკლევადიანი ხასიათი აქვს, არ შეუძლია აწარმოოს გრძელვადიანი ოპერაციები.

1

ვ.მოსიაშვილი, ფ. ფ. (2009). *საბანკო საქმე (ლექციების კურსი) გვ.81*. თბილისი.

კომერციული ბანკის რესურსები შედგება ბანკის საკუთარი კაპიტალისა და ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დაბრუნების საფუძველზე მოზიდული ფულადი სახსრებისაგან.

კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალის ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება დამცავი ფუნქცია, ოპერატიული ფუნქცია და მარეგულირებელი ფუნქცია. დამცავი ფუნქცია კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის ძირითად მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. იგი ფაქტიურად მის ძირითად თვისებას წარმოადგენს. საკუთარი კაპიტალი მუდმივი ხასიათის გამო წარმოადგენს მენაბრეთა და კრედიტორთა “დაცვის ძირითად საშუალებას”, რომელთა შენატანებით არის ბანკის ძირითადი აქტივების მნიშვნელოვანი წილი დაფინანსებული. იგი წარმოადგენს თავისებურ “უსაფრთხოების გარანტს”, რომელიც საშუალებას იძლევა ბანკის გაკოტრების შემთხვევაში დანაკარგების ანაზღაურებისა.

საბანკო პრაქტიკაში საკუთარი კაპიტალი განიხილება როგორც სიდიდე, რომლის ფარგლებშიც ბანკი პასუხისმგებელია თავისი მოვალეობების შესასრულებლად. ამავდროულად, საკუთარი კაპიტალი იცავს ბანკს გაკოტრებისაგან. შეუქცევადი ხასიათის გამო იგი საშუალებას აძლევს ბანკს განახორციელოს საბანკო ოპერაციები გაუთვალისწინებელი მნიშვნელოვანი ზარალის წარმოქმნის შემთხვევაშიც და ახდენს მიმდინარე დანაკარგების კომპენსაციას იმ დრომდე, ვიდრე ბანკის ხელმძღვანელობა არ მოაგვარებს შექმნილ პრობლემებს.

როგორც წესი კომერციული ბანკების რესურსების სტრუქტურაში დიდი წილი მოზიდულ რესურსებზე მოდის. სწორედ, ამით განსხვავდება კომერციული ბანკი სხვა ეკონომიკური სუბიექტებისაგან. კონკრეტული კომერციული ბანკის რესურსების სტრუქტურა თავისი თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს როგორც სხვა კომერციული ბანკების, ისე მთელ რეგიონში რესურსების სტრუქტურისაგან. სარესურსო ბაზის ფორმირების მიზნით ფულადი თანხების მოზიდვა კომერციულ ბანკში სხვადასხვა წყაროებიდან მუდმივად მიმდინარეობს, პრაქტიკულად ყოველდღე. ამასთან, ბანკის რესურსების აბსოლიტური ზომა დღის შედეგების მიხედვით შეიძლება არ შეიცვალოს და პირიქით, შემცირდეს კიდეც, იმდენად, რამდენადაც ბანკში მიმდინარეობს მუდმივად საბანკო ვალდებულებების დაფარვა, რომლებიც დაკავშირებულია გადახდის ვადის დადგომასთან ან მენაბრეთა

მხრიდან ანაბრების გატანასთან, სამეურნეო სუბიექტებისათვის ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერასთან და სხვა მიმდინარე ოპერაციებთან.

მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ რესურსების მოცულობა გარკვეულწილად მუდმივი სიდიდეა, ყოველდღიური ცვლილება საანგარიშო თვის განმავლობაში თანაბრდება და საბოლოო ჯამში აღწევს გარკვეულ ფარდობითად მუდმივ დონეს.რას შეეხება ბანკის საკუთარი კაპიტალს, ზოგადი განსაზღვრით არის ბანკის ქონება, რომელიც ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულია. ეს არის ნებისმიერი კომერციული ბანკის შექმნის და ფუნქციონირების აუცილებელ პირობა. რეალურად მასზეა დამოკიდებული კომერციული ბანკის მთელი საქმიანობა. იგი ასრულებს მთელ რიგ სასიცოცხლო ფუნქციებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ საკუთარი კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს და ხელს უწყობენ ბანკის ნორმალურ ფუნქციონირებას და მის შემდგომ განვითარებას.

თანამედროვე საბანკო სისტემაში, თეორიულად, უნაღლო ბრუნვის განვითარების წყალობით, არსებობს თავდაპირველად შექმნილი დეპოზიტის ერთი ბანკიდან მეორეში უსასრულოდ გადატანის შესაძლებლობა, რასთანაც არის დაკავშირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის უსასრულო ზრდა, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესმა დეპოზიტების მულტიპლიკაციის (ერთი ბანკიდან მეორეში სახსრების ჯაჭვური გადატანა) და კრედიტის ექსპანსიის სახელწოდება მიიღო საბანკო სისტემაში დეპოზიტების და კრედიტის პირდაპირ შეზღუდვას აუცილებელი რეზერვი ემსახურება, რომელსაც ეროვნული ბანკი აწესრიგებს და ზედამხედველობს.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის საერთო რეზერვი ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელ რეზერვის ნორმაზე და ბანკის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ლიკვიდობის რეზერვის დონეზეა დამოკიდებული. ლიკვიდობის რეზერვის საბანკო რეგულირების მნიშვნელოვანი კომპონენტია ნაღდი ფულის უნარიანი მართვა, რაც თავის მხრივ ბანკის მიერ მრავალი გაანგარიშების შესრულებას და მაკონტროლებელი ორგანოებისათვის ანგარიშების შედგენას გულისხმობს.

როგორც წესი კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის საერთო დონეზე ობიექტურ ზემოქმედებას ახდენს ფაქტების შემდეგი ერთობლიობა: ბანკში მობილიზებული სახსრების წყაროების საერთო სიდიდე, ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი აუცილებელი რეზერვების დონე, აუცილებელი რეზერვების გამოყენების რეჟიმი, როდესაც

ამ რეზერვების კომერციული ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად გამოყენება დასაშვებია, საერთო თანხა და ბანკს ვალდებულებების სტრუქტურა.

ბანკის საკრედიტო პოტენციალის სახსრების ეფექტურობა მიიღწევა თუ ერთდროულად ლიკვიდობის აუცილებელი მინიმუმია უზრუნველ-ყოფილი; საკრედიტო პოტენციალის სახსრების მთელი ერთობლიობა გამოიყენება; საკრედიტო პოტენცილზე მაქსიმალურად მაღალი მოგება მიიღწევა.

კომერციული ბანკის ფონდები (სარეზერვო და სხვა), რომლებიც ფორმირებულნი არიან გასული წლების და მიმდინარე წლის მოგების ხარჯზე; „ბანკის ძირითადი კაპიტალი მოიცავს აგრეთვე ფონდებს, რომელთა გამოყენება არ ამცირებს ბანკის ქონებას. ბანკის დამატებითი კაპიტალის წყაროებს წარმოადგენენ: - გადაფასების შედეგად მიღებული ქონების ღირებულების დანამატი; - რეზერვის ნაწილი ანაბრებზე შესაძლებელი დანაკარგების შემთხვევაში; - მიმდინარე წლის ფორმირებული ფონდები, მიმდინარე წლის მოგება; - სუბორდინირებული კრედიტები; - პრივილეგირებული აქციები კუმულატიური ელემენტით.“¹

სპეციალური დანიშნულების ფონდები და დაგროვების ფონდები უზრუნველყოფენ ბანკის მწარმოებლურ და სოციალურ განვითარებას. მიზნობრივ დანიშნულებათა შესაბამისად ისინი გამოიყენება ახალი სიმძლავრეების შესაძენად (გამოთვლითი ტექნიკა, კომპიუტერები და სხვა) ბანკის ზრდის პერიოდში ანუ ასრულებენ ბანკის საკუთარი კაპიტალის ოპერატიულ ფუნქციას, აგრეთვე მიმართულნი არიან კოლექტივის სოციალური კეთილდღეობისაკენ, ბანკის თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისაკენ, დახმარების გაწევისაკენ და სხვა.

ბანკის საკუთარი კაპიტალის განსაკუთრებულ შემადგენელ ნაწილს სადაზღვევო რეზერვები წარმოადგენს, რომლებიც იქმნება ბანკში მისი მდგრადი ფუნქციონირების შესანარჩუნებლად კონკრეტული საბანკო ოპერაციების ჩატარებისას. ეს არის რეზერვი გაუფასურებული ფასიანი ქაღალდების ანაბრებზე შესაძლო დანაკარგების დასაფარავად. ასეთი რეზერვების ფორმირება ატარებს აუცილებელ ხასიათს და იმყოფება კომერციული ბანკის მკაცრი კონტროლის ქვეშ. ამ რეზერვების დანიშნულებაა ბანკის მიერ შექმნილი

1

ი.კოვზანაზე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა* გვ.23. თბილისი.

ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემის შემთხვევაში თანმდევი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება.

მეორე დონის კაპიტალის როლს შეიძლება ასრულებდეს ისეთი ჰიბრიდული ინსტრუმენტი, როგორცაა სუბორდინირებული კრედიტი. ის მიეწოდება ბანკს არანაკლებ 5 წლის ვადით და კრედიტორს მისი დაბრუნება მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შეუძლია, ხოლო ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში სხვა კრედიტორების მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილების შემდეგ. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის ფუნქციონირების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმ კომპონენტების რაოდენობასა და ხარისხზე, რომლებიც ახდენენ მისი წყაროების ფორმირებას.

კომერციული ბანკის ბალანსზე რიცხული საკუთარი კაპიტალი, როგორც ძირითადი და დამატებითი კაპიტალების ერთობლიობა წარმოადგენს ე.წ. კაპიტალბრუტოს, კომერციული ბანკის საკუთარ კაპიტალს. ორდონიანი სტრუქტურის დამახასიათებელი თვისებაა მის შემადგენელ ნაწილებს შორის ზღვრული თანაფარდობის დადგენა. კერძოდ, ბანკის ძირითადი კაპიტალი საკუთარი კაპიტალის საერთო მოცულობის 50%-ს მაინც უნდა შეადგენდეს, ხოლო დამატებითი კაპიტალი, შესაბამისად ძირითად კაპიტალს არ უნდა აღემატებოდეს. ამის გარდა, მეორე დონის კაპიტალის ელემენტების არსებობა დასაშვებია მხოლოდ ძირითადი კაპიტალის გარკვეული მოცულობით.

აღნიშნული ვითარება განაპირობებს ბანკის წმინდა საკუთარი კაპიტალის გაანგარიშებას მიმდევრობით, სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი _ ეს არის წმინდა ძირითადი კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა.

მეორე ეტაპი _ დამატებითი კაპიტალის რეალური სიდიდის განსაზღვრა, რომელიც ბანკის წმინდა საკუთარი კაპიტალის ანგარიშში შევა. დამატებითი კაპიტალის ელემენტების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს წმინდა ძირითადი კაპიტალის 100%-ს.

მესამე ეტაპი _ წმინდა საკუთარი კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა. წინა ეტაპებით განსაზღვრული წმინდა ძირითადი კაპიტალის და დამატებითი კაპიტალის სიდიდეთა ჯამიდან გამორიცხავენ არშემდგარი რეზერვის სიდიდეს. ამ რეზერვს მიეკუთვნება: ანაბრებზე შესაძლებელი დანაკარგები, რისკის 2-4 ჯგუფები, ფასიანი ქაღალდების გაუფასურება, 30 დღეზე მეტი დროით გადავადებული დებიტორული დავალიანება, ბანკის აქციებში შენატანები (მონაწილეობის წილი, რომლებიც ინვესტირებისთვისაა შეძენილი, სუბორდინირებული კრედიტები და სხვა განყენებული საკუთარი სახსრები. ბანკის წმინდა

საკუთარი კაპიტალის სიდიდე დადებითი უნდა იყოს. მისი უარყოფითი მნიშვნელობა მოწმობს იმას, რომ კომერციული ბანკი ფაქტიურად არ ფლობს თავისუფალ საკუთარ რესურსებს, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად ბანკი მხოლოდ მოზიდულ რესურსებს იყენებს.

ამის შედეგად მნიშვნელოვანდ მცირდება კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა, რასაც მოსდევს კრიზისული სიტუაციების დადგომისთანავე სერიოზული სირთულეები და დამატებითი გართულებები. ამგვარად, წმინდა საკუთარი კაპიტალის სიდიდე წარმოადგენს ერთგვარ ბარომეტრს, რომელიც ახასიათებს კომერციული ბანკის ფინანსურ მდგრადობას და სტაბილურობას.

დასკვნისათვის, ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, მოცემული თარიღისათვის (მაგ. ხვალ, თვის ბოლოს ან წლის ბოლოს) სრულად შეასრულოს იმ პერიოდისათვის ვადადამდგარი ვალდებულებები, ხოლო გადახდისუნარიანობა – ესაა მისი შესაძლებლობა, იმავე ვადაში სრულად გაისტუმროს ყველა ვალდებულება, ანუ მისი ბალანსის აქტივები მეტია ვალდებულებებზე (პასივებს მინუს კაპიტალი). როგორც ვხედავთ, შეიძლება მოცემულ მომენტში ბანკი იყოს არალიკვიდური, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს მის არაგადახდისუნარიანობას, ისევე როგორც დღეს არსებული ლიკვიდობა არ ნიშნავს, რომ ბანკი გადახდისუნარიანია.

„2019 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მაღალი დონითა და მცირე მერყეობით ხასიათდებოდა. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 20 პროცენტამდე აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 35 პროცენტის დასაფარად.

2019 წლის განმავლობაში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) გარკვეული მერყეობებით ხასიათდებოდა, რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას იძლევა. LCR-ის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პრუდენციული ზედამხედველობა და ხელი შეუწყო ვალდებულებების დაგრძელვადიანებას, მათ შორის, გამოუთხოვადი სადეპოზიტო სერტიფიკატების პროდუქტის განვითარებას.

2019 წლის ოქტომბერში უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მკვეთრი ზრდა განპირობებულია სებ-ის მიერ ლიკვიდურ აქტივების გაანგარიშებისადმი მიდგომის ცვლილებით, რაც მე-4 კვარტალში უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის გამო კვლავ

ძველ ნიშნულს დაუბრუნდა. 2019 წლის მეორე კვარტლიდან ლარის კოეფიციენტის შემცირება სესხების მაღალ ზრდასაც უკავშირდება, რამაც შესუსტებული მოთხოვნის გამო 2018 წლის ბოლოს დაგროვილი ჭარბი ლიკვიდობა გაიწოვა.

საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების გეპის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს. ვალდებულებების სტრუქტურა ვალდებულებების სტრუქტურაში დეპოზიტების წილი უმნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო სუბორდინირებული ვალდებულებების და სხვა ვალდებულებების წილი მცირედით გაიზარდა. ამასთან, ბანკები ვალდებულებების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

ვალდებულებების სტრუქტურაში დეპოზიტების წილი უმნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო სუბორდინირებული ვალდებულებების და სხვა ვალდებულებების წილი მცირედით გაიზარდა. ამასთან, ბანკები ვალდებულებების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

2019 წლის განმავლობაში დეპოზიტები 3.2 მლრდ ლარით (14.0 პროცენტი, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 9.1 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრისათვის 26.2 მლრდ ლარი შეადგინა. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ანაზრების ზრდამ, შესაბამისად, 20.5 პროცენტი და 6.3 პროცენტი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, შესაბამისად, 14.4 და 2.7 პროცენტი) შეადგინა. 2019 წლის განმავლობაში დეპოზიტების ლარიზაცია უმნიშვნელოდ შემცირდა და დეკემბრისთვის 35.9 პროცენტი შეადგინა.

არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2019 წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი დარჩა და დეკემბრისთვის 16.2 პროცენტი შეადგინა. წარმოშობის ქვეყნების მიხედვით ეს დეპოზიტები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც, რისკიანობის კუთხით, დადებითი ფაქტორია. ამასთან, ვადიანი დეპოზიტების წილი კვლავ მაღალია, რაც გადინების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული დეპოზიტებისთვის დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს.

აღნიშნული მოთხოვნის კალიბრაციისას გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ არარეზიდენტი კლიენტების ნაწილი რეალურად უცხოური პასპორტის ან რეგისტრაციის

მქონე ადგილობრივი პირები არიან. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს, რაც, შესაბამისად, ბოლო წლებში არარეზიდენტების დეპოზიტების წილის დასტაბილურებაში გამოიხატა.“¹

2.2. ლიკვიდობის რისკის რეგულირება საქართველოში.

2019 წელს გრძელდებოდა ცვლილებების განხორციელება ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიმართულებით. გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად 2019 წლის სექტემბრიდან წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) დაინერგა, რის შემდეგაც 2020 წლიდან გაუქმდება ლიკვიდობის არსებული მოთხოვნა (მოკლევადიანი ვალდებულებების 30 პროცენტი) და ის მხოლოდ მონიტორინგის მიზნით იქნება გამოყენებული. შედეგად, ლიკვიდობის რისკის საზედამხედველო ჩარჩო ბაზელის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში იქნება. სტაბილური დაფინანსების სტრუქტურა კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობის რისკს ამცირებს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებას ზღუდავს და დაფინანსების რისკის უკეთეს შეფასებას ასტიმულირებს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც კომერციული ბანკის ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების ფარდობა სტაბილური დაფინანსების საჭიროებასთან და ის, როგორც მინიმუმი, 100 პროცენტი უნდა იყოს. 2019 წლის განმავლობაში ქართული ბანკები ამ კოეფიციენტის სტაბილურად მაღალი დონით ხასიათდებოდნენ.

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი/არა-ეფექტური შიდა პროცესებიდან, ადამიანებისგან, სისტემებიდან ან გარეშე მოვლენებიდან. საოპერაციო რისკი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის ერთერთი მზარდი და მნიშვნელოვანი რისკია. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოპერაციო რისკის როლი თანამედროვე ორგანიზაციებში, სადაც ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებზე დამოკიდებულება პროგრესულად იზრდება. მოცემული პროცესი ფინანსური

¹

წლიური ანგარიში 2019 წ. გვ. 141-142. (2019). *საქართველოს ეროვნული ბანკი*. მოპოვებული https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf-დან

ინსტიტუტების ციფრული ტრანსფორმაციით, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვითა და უფრო რთული ოპერაციებისა და კომპლექსური ფინანსური მომსახურების დამკვიდრებით არის განპირობებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს კიბერ-რისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები წარმოადგენს. 2019 წელი ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გარდამტეხი იყო. კომერციული ბანკებისთვის კიბერ-უსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნები დაინერგა, გაგრძელდა მუშაობა ფინანსურ სისტემაში მონაცემთა ხარისხის ამაღლების მიმართულებით და საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული რამდენიმე ღონისძიება გამართა. ამავდროულად, კიბერ-რისკის მზარდი გლობალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიბერ-რისკის ზედამხედველობის სტრუქტურული ერთეული ჩამოაყალიბა, რომელიც საოპერაციო რისკების ერთიან საზედამხედველო ჩარჩოში შედის და რომლის უშუალო მიზანს ფინანსური სექტორის კიბერ-რისკის შესწავლა და მიტიგაცია წარმოადგენს.

საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში საქართველოს საბანკო სისტემა გამოირჩევა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შედარებით დაბალი კომპლექსურობით, მაგრამ საბანკო სექტორის მუდმივი განვითარებისა და გარდაქმნის პირობებში, სწრაფი ტემპით ინერგება ახალი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც საინფორმაციო სისტემებს უფრო მეტად და მეტად ეფუძნება. ზემოაღნიშნული გარემოება ფინანსური სექტორის თანმდევ საოპერაციო რისკს ზრდის.

2019 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 22.4 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლის მთლიან დანაკარგთან შედარებით 2 პროცენტით ნაკლებია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე. 2019 წლის მანძილზე საოპერაციო დანაკარგის 22,422 მოვლენა დაფიქსირდა, რაც 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის

მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი 10 ლარს უდრის ან აღემატება. 2019 წლის საშუალო დანაკარგის მოცულობა 1,000 152 ლარით განისაზღვრა

2019 წელს, ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ 2-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.71 პროცენტს შეადგენდა. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები საოპერაციო რისკების დაზღვევას და რისკის შერბილება/მიტიგაციის სხვა მეთოდებს იყენებენ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მთლიანი დანაკარგის მაჩვენებელი ასახავს მოვლენის საწყის ფინანსური დანაკარგის შეფარდებას მთლიან შემოსავალთან და არა წმინდა დანაკარგს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებული თანხის ანაზღაურება/დაბრუნებას ითვალისწინებს.

საქართველოს საბანკო სისტემა, მსოფლიოს მრავალ სხვა საბანკო სისტემის მსგავსად, ეკონომიკის სხვა სექტორებზე კრიტიკულად არის დამოკიდებული. მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობები კრიტიკული სექტორების წარმომადგენლებთან იმისათვის, რომ მათზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე რისკების სათანადო მართვა განხორციელდეს. მომავალში, საქართველოს ეროვნული ბანკი საოპერაციო რისკების საზედამხედველო ჩარჩოს გაფართოებას გეგმავს. ეს მოიცავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის როგორც საოპერაციო, ასევე კიბერ-რისკების მოთხოვნების გაფართოებას. დამატებით, სებ-ი საოპერაციო რისკების მიმართულებით განაგრძობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას.

2.3. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად

ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.

გარდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა, კომერციული ბანკების ლიკვიდობა რეგულირდება საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის საშუალებითაც, რომელიც

წარმოადგენს საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივებისა და საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების შეფარდებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწას საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) დანერგვას, ბაზელის სტანდარტების მიხედვით.

2017 წლის მაისის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიზანს წარმოადგენდა თუ რა ნორმებით უნდა მოხდეს კომერციული ბანკების ლიკვიდობის კოეფიციენტის დამტკიცება 2017 წლის სექტემბრიდან. რაც მოიცავს:

1, დგინდება კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უნდა შეეძლოს მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე დააფინანსოს აქტივების ზრდა და დაფაროს ვალდებულებები მოცემულ ვადებში,

2, ბანკს უნდა ქონდეს ლიკვიდური ფულადი მარაგი რათა ფინანსური სტრესის დროს შეძლოს ფულის გადინების გადაფარვა, მარაგი მინიმუმ 1 თვიან სტრესზე მაინც უნდა აიყოს გათვლილი.

3, არასტრესულ პერიოდში ჯამურად ყველა ვალუტის გადინების გადაფარვის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 100% ზე ნაკლები, კომერციული ბანკების მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებს შეადგენს პირველი და მეორე დონის აქტივები, პირველი დონის ლიკვიდური აქტივების შეუზღუდავად ფლობის უფლება აქვს ბანკს, ხოლო მეორე დონის ლიკვიდური აქტივები არ უნდა აღემატებოდეს მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების 40%-ს დისკონტის გათვალისწინებით.

4, მთლიანი წმინდა გადინება

რაც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის საბალანსო და ბალანსგარეშე ვალდებულებებს და გამოითვლება არსებული ნაშთების გამრავლებით იმ განაკვეთებზე როდესაც მოსალოდნელია მათი გადინება ფინანსური სტრესის დროს. შემოდინება კი გამოითვლება სხვადასხვა კატეგორიის ხელშეკრულებებით მისაღები ნაშთების გამრავლებით იმ განაკვეთზე რომლითაც მოსალოდნელია მოხდეს მათი შემოდინება.

მოთხოვნებიდან გამომდინარე ბანკის მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები უნდა შეადგენდეს მთლიანი ფულადი გადინების მინიმუმ 25%-ს. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის გამოთვლა ხდება ყოველდღიურად ყოველი დღის ლიკვიდობის ანგარიშგება

ეროვნულ ბანკს უნდ ამიეწოდოს არაუგვიანეს მომდევნო 2 სამუშაო დღის ვადაში, თუ ბანკი ელოდება კოეფიციენტის დაცემას 100%-ზე დაბლა, მაშინ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ეროვნულ ბანკს ამის შესახებ. ლიკვიდობის გადაფარვის ანგარიშგება უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში, ასევე შემოდინების და გადინების ლიმიტების განსაზღვრაც უნდა აწარმოოს ბანკმა ეროვნულ ვალუტაში.

2.4. საქართველოს საბანკო სისტემა ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მაისისა პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს "ანგარიშს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ", "ეკონომიკის მდგომარეობის ანგარიშს", "ოპერაციებისა და განსახილველი წლის განმავლობაში საქმის მდგომარეობის ანგარიშს" და აუდიტორების მიერ დამოწმებულ "საფინანსო ანგარიშგებას".

წლიურ ანგარიშში განხილულია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ქვეყნის ცენტრალური ბანკი საანგარიშო პერიოდში, აგრეთვე მისი შეფასებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებზე, რომლებიც საანგარიშო წლის განმავლობაში არსებით გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობასა და ეროვნული ბანკის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაზე.

კაპიტალის ადეკვატურობა საქართველოს საბანკო სისტემა 2019 წლის ბოლოსათვის ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში კვლავც ინარჩუნებდა კაპიტალის ადეკვატურ დონეს. 2018 წლის 31 დეკემბერს ამოქმედდა სისტემურობის ბუფერი, რომელიც დაწესდა როგორც საზედამხედველო, ასევე პირველად და ძირითად პირველად კაპიტალზე. 2019 წლის დეკემბერში, სისტემურად მნიშვნელოვან ბანკებს აღნიშნული ბუფერის მოთხოვნები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად გაეზარდათ სისტემური ბუფერების დაწესების ვადები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 14.62 პროცენტს, ხოლო

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 19.45 პროცენტს შეადგენს, რაც კაპიტალის ადეკვატურობის ჯამურ მოთხოვნებზე (პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნებს დამატებული კომბინირებული ბუფერები და პილარ 2-ის მოთხოვნები), შესაბამისად, 2.59 და 2.15 პროცენტული პუნქტით მეტია. ასევე მაღალია ლევერიჯის კოეფიციენტიც, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11.68 პროცენტს უტოლდება და ლევერიჯის კოეფიციენტის მინიმალურ მოთხოვნას 6.68 პროცენტული პუნქტით აღემატება. ამასთანავე, ეროვნული ბანკი პოზიტიურად აფასებს კაპიტალის ზრდის რესურსებს, როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით.

საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის მანძილზე ბანკები პილარ 2-ში შემავალი კაპიტალის ბუფერების კალკულაციებს ახორციელებდნენ. პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს, საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE (General Risk Assessment Process) ბუფერის განსაზღვრის წესს. მნიშვნელოვანია, რომ პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული კაპიტალის ბუფერები კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების იმავე პროპორციით უნდა დააკმაყოფილონ, როგორც ეს მოცემულია მინიმალურ მოთხოვნებში.

შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56 პროცენტი დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75 პროცენტი პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, კომერციულ ბანკებს შესაბამისი ვადები მიეცათ. 2019 წელს განსაზღვრული ვადების მიხედვით, ბანკებს მოთხოვნები გრაფიკით უნდა დაეკმაყოფილებინათ, თუმცა კორონავირუსთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა დროებით შეაჩერა ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე პილარ 2-ის მოთხოვნების ზრდა. შესაბამისად კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერები 100 პროცენტით არის დაწესებული საზედამხედველო კაპიტალზე, 20 პროცენტით პირველად კაპიტალზე და 15 პროცენტით ძირითად პირველად კაპიტალზე.

კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები კორონავირუსთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გატარებამდე კონცენტრაციის (სახელობითი და სექტორული) ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის განაკვეთები ამოქმედებიდან

კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგად, კომერციული ბანკისათვის დაწესებული ახალი ჯამური კაპიტალის დარღვევისას ჩაითვლება, რომ პირველი ირღვევა კაპიტალის კომბინირებული ბუფერები. „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების თანახმად, აღნიშნული ბუფერების დარღვევისას, კომერციულ ბანკს ეკრძალება კაპიტალის განაწილება, მათ შორის დივიდენდის გაცემა. საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრული წმინდა სტრესტესტების ბუფერი 2020 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდება.

2019 წელს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა აღნიშნული ბუფერის კალიბრაციის პროცესს. ამასთან, 2020 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებთან ერთად, აღნიშნული ბუფერის განსაზღვრისა და დაანგარიშების ჩარჩოს დამატებით ფორმალიზებას გეგმავს, რათა კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოთი განსაზღვრულ პილარ 2-ში საზედამხედველო სტრესტესტების სრული ინტეგრირება მოხდეს. მთლიანი ბანკის დონეზე (Enterprise-level stress) ჩატარებული სტრეს-ტესტი ეკონომიკური ხასიათის სისტემური და სექტორული მნიშვნელობის შოკებისა და იდიოსინკრატული მოვლენების ბანკზე გავლენის შეფასებისა და აღნიშნული სცენარისათვის საჭირო კაპიტალის მოცულობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

საზედამხედველო სტრეს-ტესტების პილარ 2-ში ინტეგრირებასთან ერთად, აუცილებელია ერთსა და იმავე რისკისათვის კაპიტალის ორმაგად მოთხოვნის გამორიცხვა. შესაბამისად, საზედამხედველო სტრესტესტების ფარგლებში დათვლილი კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც კონსერვაციისა და კონტრაციული ბუფერების ჯამურ მოთხოვნას აჭარბებს. 2018 წელს ამოქმედდა ნეტ GRAPE ბუფერი, რომელიც რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის ფარგლებში განისაზღვრება და რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკების შეფასება. GRAPE-ს საფუძველზე ფასდება თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი. 2019 წლის განმავლობაში განახლდა ინდივიდუალური GRAPE ბუფერები, რომლის მოცულობაც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.4-9.7 პროცენტის შუალედში განისაზღვრა. პილარ 2-ის

ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი ამასთან, ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო სტრეს-ტესტების დანერგვაზე მუშაობას და მათი სრულყოფილად დანერგვის პირობებში, მოსალოდნელია, რომ პილარ 2-ის ყველა რისკი და შესაბამისი კაპიტალის მოთხოვნები სცენარებით სრულად იქნება მოცული.

დამატებით, 2020 წელს ეროვნული ბანკი კვლავ გააგრძელებს კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს სამომავლო ცვლილებები სექტორული კონტრციკლური ბუფერი ბაზელ 3-ის კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში ბანკებს, სხვადასხვა სახის კაპიტალის ბუფერებთან ერთად, უწყესდებათ კონტრციკლური ბუფერი, რომელიც ამ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 0%-ს შეადგენს. აღნიშნული ბუფერი თავისი არსით წარმოადგენს ბანკის დამცავ მექანიზმს ისეთ პერიოდებში, როდესაც ეკონომიკაში გადაჭარბებულ დაკრედიტებას აქვს ადგილი, რამაც შესაძლოა ფინანსურ სფეროში სისტემური რისკები და სხვა გართულებები განაპირობოს. კონტრციკლური ბუფერის მოცულობა დაკრედიტების მაღალი ზრდის შემთხვევაში იზრდება (ამის შესაფასებლად ყველაზე გავრცელებული მექანიზმია სესხების მშპ-თან მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე).

მოთხოვნა პირველად კაპიტალზე მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე შეფარდების გეპის (Credit to GDP gap) გამოთვლა) და მცირდება მაშინ, როცა ეკონომიკაში სტაგნაცია ან კრიზისული პერიოდი, რათა ბანკს სტრესულ პირობებში საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელების საშუალება მიეცეს. აღსანიშნავია, რომ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა 2017 წლიდან სექტორული კონტრციკლური ბუფერის განვითარებაზე დაიწყო მუშაობა. სექტორული კონტრციკლური ბუფერი დღეს არსებული კონტრციკლური ბუფერისა და სხვა მაკროპრუდენციული მექანიზმების ეფექტურ შემავსებელს წარმოადგენს, ხოლო კონტრციკლური ბუფერი მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე წესდება. სექტორული კონტრციკლური ბუფერის გამოყენება შესაძლებელია მიზნობრივ არეალში, რაც ამ მექანიზმის მოქნილობაზე მიგვითითებს. ის ზედამხედველს საშუალებას აძლევს, დროებით დააწესოს დამატებითი კაპიტალის მოთხოვნები, რომელიც კონკრეტულ სექტორში/სეგმენტში არსებულ რისკებზე არის მიმართული. შესაბამისად, სექტორული

კონტრციკლური ბუფერი დამოკიდებულია სექტორულ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე და აფასებს იმას, თუ რამდენად მოწყვლადია ბანკი ამ მიზნობრივი სეგმენტის მიმართ.

მაგალითისთვის, აღნიშნული ბუფერის დაწესება შესაძლებელია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სასესხო პორტფელზე, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის მაჩვენებლებზე დაყრდნობით დავინახავთ, რომ ამ სეგმენტში რისკები გაზრდილია. ბაზელის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სექტორული მექანიზმები ეფექტურია მაშინ, როდესაც სისტემური რისკის წარმოშობის წყარო კონკრეტული საკრედიტო სეგმენტებია.

წარსულში მომხდარ ფინანსურ კრიზისებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სისტემური რისკის წარმოქმნა, ძირითადად, სეგმენტებს შორის უთანასწორო ზრდებით არის განპირობებული. დამატებით, კორპორატიული და შინამეურნეობის საკრედიტო ციკლები ხშირ შემთხვევაში სინქრონიზებული არ არის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა მექანიზმი, რომელიც განსხვავებული სექტორების შემთხვევაში კაპიტალის განსხვავებული მოთხოვნების დაწესებას უზრუნველყოფს.

თუკი სექტორებს შორის დისბალანსი არსებობს, სექტორული კონტრციკლური ბუფერი არის: (i) უფრო მეტად ეფექტური, რადგანაც ის საწყის სტადიაზევე გამოყენებადი ბერკეტია;

(ii) უფრო მეტად მოქნილი, რადგანაც ამცირებს დაუგეგმავ გარე ეფექტებს და აქვს უკეთესი ხარჯ-ეფექტურობის მაჩვენებელი;

(iii) უფრო მარტივად დაწესებადი, ვიდრე სხვა ფართომასშტაბიანი მექანიზმები.

სხვადასხვა ლიტერატურისა და ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ გამოყენებულ უნდა იქნას კომპონენტებად დაშლილი სესხების მშპ-თან ფარდობა. ორმოცამდე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებზე დაკვირვებამ, გვიჩვენა, რომ შინამეურნეობების დაკრედიტება საბანკო კრიზისების ახსნის მიზნებისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადია. რა თქმა უნდა, ბიზნეს დაკრედიტებაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი ეფექტი უფრო სუსტი და არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

სესხების მშპ-თან ფარდობაზე კომპონენტებად დაშლილი დაკვირვება საბანკო კრიზისებს უფრო ეფექტურად აპროგნოზებს, ვიდრე ერთიანი მაჩვენებელი. სწორედ ამ მიზეზების გამო, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი თავის დოკუმენტში აღნიშნავს, რომ საჭიროა ბანკებს დაუწესდეთ სექტორული კონტრციკლური ბუფერები, რაც უფრო უკეთ აღმოფხვრის სექტორულ დისბალანსებს და უფრო მეტ სიგნალს მიაწვდის ბანკებს

სხვადასხვა სექტორულ რისკებთან დაკავშირებით. ამასთან, სექტორული კონტრციკლოზობის ბუფერი კარგი შემავსებელი იქნება სხვა სექტორული მაკროპრუდენციული მექანიზმებისათვის (LTV და PTI)

2.5. ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის პრობლემა

პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კონკურენციის წარმოქმნასა და მისი გაძლიერების პროცესს, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით, გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. გაკოტრებასა და ბანკების ლიკვიდაციას მოსდევს უმუშევრობა, მეანაზრების დაკარგვა, სოციალური დამაბულობის ზრდა და გაკოტრებული ბანკის კლიენტების საქმიანობის შეფერხება.

კონკურენციის უპირატესობა, სახელმწიფო რეგულირებასთან შედარებით, ყოველთვის და ყველგან არ სჭარბობდა მის უარყოფით შედეგებს. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც ამართლებს კონკურენციის გაძლიერების პროცესს იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ბანკების ლიკვიდობის მაკროდონეზე დარეგულირება, ხოლო ბანკების ხელმძღვანელებს ბანკის ლიკვიდობის მიკროდონეზე მართვა.

ყოველივე ეს პირველ ადგილზე აყენებს კომერციული ბანკების ლიკვიდობის ოპტიმალური რეგულირების საკითხს. აღსანიშნავია, რომ ტერმინის განმარტებიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, კომერციული ბანკის ლიკვიდობა არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ანუ ბანკის შესაძლებლობისაგან – დროულად აგოს პასუხი თავისი ვალდებულებების შესრულებაზე დროის განსაზღვრულ მომენტში. მიუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, აუცილებელია მათ შორის განსხვავების დანახვაც. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები, რომ ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობის არარსებობის პირობებში ბანკს უფლება არა აქვს არ გასცეს დეპოზიტი კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად და დაელოდოს მისთვის ხელსაყრელ დროს, ანუ დამატებითი სახსრების შემოდინებასა და ლიკვიდობის აღდგენას. ამ შემთხვევაში გადახდისუნარიანობა დარჩება ისეთივე, როგორც იყო ვალდებულებების განსაზღვრულ ვადაში შესრულებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუუნაროდ მიიჩნევა ბანკი, რომელსაც შეუძლია, ადრე თუ გვიან, შეასრულოს ვალდებულებები, ხოლო ლიკვიდურად – რომელიც განსაზღვრულ ვადაში ასრულებს ყველა ვალდებულებას. არალიკვიდობასა და გადახდისუუნარიანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება. დადგენილი ზღვრის მიღწევის შემდეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუუნარობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი კრიტიკული ზღვრის მიღწევამდე შეძლებს ლიკვიდობის აღდგენას, კრიზისი დროებითი ხასიათისა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუუნარობის კრიზისში გადავა და საბანკო საქმიანობისათვის პრაქტიკული შედეგით – ლიცენზიის ჩამორთმევითა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დამთავრდება.

როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუუნარიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და ამ ორივეს განსაზღვრავს ბანკის მომგებიანობა.

შესაბამისად, „მომგებიანობის ან ლიკვიდობის“ შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა. როგორც წესი ბანკის აქტივების ზრდას თან ახლავს ლიკვიდობის შემცირების ტენდენცია – რაც უფრო მსხვილია ბანკი, მით უფრო ნაკლებად ლიკვიდურია. პრაქტიკიდან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივების შემოსავლიან ოპერაციებში გადაყვანით მართალია, ბანკი აუარესებს მოკლევადიან ლიკვიდობას, მაგრამ ამ დროს უმჯობესდება გრძელვადიანი ლიკვიდობა და თანაც – უფრო მეტად, როცა ოპერაციები საიმედოა.

ანუ შესაძლოა ბანკის წინაშე დადგეს საკითხი – რა ჯობია? - მოგება თუ ლიკვიდობა! მაღალი ლიკვიდობის პირობებში ბანკი უფრო სწრაფად აღწევს დასახულ მიზნებს – კლიენტების რესურსებისა მოზიდვას მიზნობრივი პროექტების დასაფინანსებლად; ხოლო, გრძელვადიან არალიკვიდობას მიყვავართ წაგებისაკენ, ხოლო წმგებიანობას – არალიკვიდობისაკენ.

„ბანკის მომგებიანობა და ლიკვიდობა მხოლოდ ერთად ამალეებს და ამლიერებს ერთმანეთს და ბანკს. ამიტომ, ნებისმიერი კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასება შესაძლებელია ორი ურთიერთდაკავშირებული ფეტორით:მომგებიანობა და საიმედოობა. მათ შორის საიმედოობის განსაზღვირ ორი ძირითადი მაჩვენებელია ცნობილი: ლიკვიდობა და გადახდისუუნარიანობა, ლიკვიდობა და გადახდისუუნარიანობა არის ის ორი ძირითადი

მიზანი რომელთა მიღწევა განსაკუთრებით პრიორიტეტულია ქვეყნის ცენტრალური ბანკებისთვის, თავიანთი ფუნქციების შესრულებისას, როცა ისინი გვევლინებიან სტაბილური საბანკო სისტემის გარანტად და უზრუნველყოფენ მოსახლეობის მხრიდან საბანკო სისტემისადმი ნდობის ამაღლებას.¹

თავი III. საბანკო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი

კომერციული ბანკის მომგებიანობა (მომგებიანობა) ეფექტური საბანკო საქმის ერთ – ერთი მთავარი მაჩვენებელია. ხოლო საბანკო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი ემყარება მომგებიანობისა და აქტივების დაბრუნების მაჩვენებლების მჭიდრო ურთიერთობას, კაპიტალის ადეკვატურობას, მოგების წილს შემოსავლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაბარი შესაძლებლობების მქონე ბანკებს შეუძლიათ მიიღონ განსხვავებული შედეგები და, პირიქით, ბანკებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი განსხვავებები აქტივების დაბრუნებისა და კაპიტალის ადეკვატურობაში, მიაღწიონ ერთსა და იმავე მომგებიანობას.

„ბანკის საქმიანობის გარკვეული სფეროების მომგებიანობის მენეჯმენტი ემყარება პასუხისმგებლობის ცენტრების განაწილებას - ბანკის ფუნქციურ განყოფილებებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბანკის საქმიანობის გარკვეულ სფეროებზე, ანუ ერთგვაროვანი საბანკო პროდუქტების ჯგუფზე და მათგან მიღებულ ფინანსურ შედეგზე.

პასუხისმგებლობის ასეთი ცენტრების მაგალითებია: სესხის ოპერაციების მართვა, ფასიანი ქაღალდების მართვა, საბირჟო ოპერაციების მართვა, სავალუტო ოპერაციების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტი, ანაზრების ოპერაციების მართვა. საქმიანობის გარკვეულ სფეროებზე პასუხისმგებელი ერთეულების მუშაობის ფინანსური შედეგის შეფასება მოიცავს რამდენიმე ეტაპს.

პირველი ეტაპი მთავარია და მოიცავს განყოფილების ბიუჯეტის განსაზღვრას, ანუ შესაბამისი პერიოდის ხარჯთაღრიცხვას და ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული

1

ი.კოვზანაზე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა გვ.194*. თბილისი.

შემოსავლის ოდენობას პროდუქციის შექმნიდან და რეალიზაციით, რომელზეც პასუხისმგებელია ეს დანაყოფი.

მეორე ეტაპზე ხდება მომგებიანობის ცენტრებისა და ხარჯების ცენტრების იდენტიფიკაცია დეპარტამენტების ხარჯებისა და შემოსავლების შედარების გზით.

მესამე ეტაპზე განისაზღვრება ბანკის საქმიანობის ამ მიმართულებით პასუხისმგებელი ერთეულის მიერ სხვა ფუნქციურ ერთეულებზე გადაცემული შემოსავლის ოდენობა, მათ მიერ მოზიდული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მეოთხე ეტაპზე განისაზღვრება მომგებიანობის ცენტრების წმინდა ფინანსური შედეგი.⁴¹

როგორც წესი დასავლეთში ბანკები დიდ ყურადღებას აქცევენ ბანკის საქმიანობის მომგებიანობის მენეჯმენტს. გასაკვირი არ არის, რომ მომგებიანობის მართვის კონცეფცია პირველად ჯერ კიდევ 80-იან წლებში ამერიკულ ბანკებში გავრცელდა. რომელიც ერთი შეხედვით მოიცავს სამ მარტივ კომპონენტს. 1. შემოსავლის მაქსიმიზაცია, ხარჯების მინიმიზაცია, საქმიანობის მაღალკვალიფიციური მართვა .

გასაგებია, რომ კომპეტენტური მენეჯმენტი მოიცავს პირველი ორი კომპონენტის - შემოსავლების და ხარჯების მართვას განხორციელებას.

მოგების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ამერიკული საბანკო მენეჯმენტი ეყრდნობა კარგად შემუშავებულ ანალიტიკურ ჩარჩოს. რომელიც მოიცავს ანალიზის ხუთ მთავარ ეტაპს.

1) გარკვეული პერიოდის ბანკის საქმიანობის ჩვეულებრივი შედარება საბაზისო პერიოდთან.

2) ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი მოცულობის შესაბამისად თითოეული აქტიური და პასიური ბალანსის თანაფარდობის პროპორციის შეფასებას. 3) ბანკის საქმიანობის თითოეული სახეობიდან მიღებული შემოსავლის წილის ანალიზი მთლიან შემოსავალში.

4) ძირითადი საბანკო ანგარიშების ცვლილებების ანალიზი ინდექსის მეთოდის გამოყენებით.

¹ ი. ჭილაძე, .საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება „ გვ 94. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2017 წ. eprints.tsu.ge

5) საქმიანობის ანალიზი კოეფიციენტების გამოყენებას, მათ შორის ლიკვიდურობის კოეფიციენტებს.

როგორც წესი, საბანკო საქმიანობის ანალიზი სცილდება ერთი ბანკის ფარგლებს: მიღებული შედეგები შედარებულია სხვა მსგავსი ინსტიტუტების მეორეული კვლევის მონაცემებთან. მის შემდეგ ხდება საბოლოო ანალიტიკური შეფასება.

მიკრო დონეზე კომერციული ბანკის მომგებიანობის მართვა გულისხმობს კონკრეტული საბანკო პროდუქტების მომგებიანობის მართვას. მოგება ნებისმიერი საბანკო პროდუქტის რეალიზაციით განისაზღვრება მისი საბაზრო ფასისა და თვითღირებულების საფუძველზე. ბანკის მიერ გარკვეული სახის პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის ეფექტის გაანგარიშების სპეციფიკა განისაზღვრება მათი ხასიათის, საბანკო პროდუქტების შექმნის ხარჯების სტრუქტურისა და ფასების ფორმის მიხედვით.

ამ საფუძველზე, სასურველია საბანკო პროდუქტების დაყოფა ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში უნდა შევიდეს პროდუქტები, რომლებსაც აქვთ საბანკო პროცენტი ან მისთვის ექვივალენტი შემოსავალი, მაგ. საბანკო სესხი, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით; **მეორე მოიცავს** ისეთ პროდუქტებს, რომლებიც საკომისიო შემოსავალს იღებს ისე, რომ არ არის დაკავშირებული რესურსების ხარჯვასთან, მაგ. საოპერაციო-საანგარიშსწორებო მომსახურება, საბანკო გარანტიები, ფულადი მომსახურება.

ბანკის შემოსავლების ანალიზი - შემოსავლის გასაანალიზებლად, უპირველეს ყოვლისა განიხილება მონაცემთა სანდოობის, შესადარისობის და სტრუქტურის შეფასება, შემოსავლის კომპონენტების დინამიკა, შემოსავლის დონე აქტივების ერთეულზე, ფაქტორების გავლენის ხარისხის განსაზღვრა შემოსავლის მთლიან რაოდენობაზე და ცალკეული სახის ოპერაციებით მიღებული შემოსავლის ანალიზი. ამასთან, ბანკის შემოსავლის სტრუქტურა განისაზღვრება მისი საქმიანობის სპეციფიკიდან. ანალიზის დროს, ბანკის შემოსავლები ჯგუფდება - საბანკო საქმიანობის სახეებად და შემოსავლის გენერირების სფეროებად. საბანკო შემოსავლის ანალიზისას განისაზღვრება საბანკო საქმიანობისა და "ახლო საბანკო" ოპერაციიდან მიღებული შემოსავლის წილი, განისაზღვრება შემოსავლის თითოეული ტიპის პროპორცია მათ მთლიან ოდენობაში. შემოსავლის სტრუქტურის ანალიზის მეორე მიდგომაა მათი დაყოფა პროცენტულ და არაპროცენტულ შემოსავლებად. პროცენტული შემოსავლის ანალიზის ეტაპია: მათი სტრუქტურის შესწავლა. ყველა დარიცხული და მიღებული პროცენტი იყოფა გაცემული სესხების პირობების მიხედვით, გამოიყოფა ბანკთაშორისი

სესხები. შემდეგ, გამოითვლება თითოეული ჯგუფის წილი მთლიანობაში, ხდება შედარება წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან და გამოითვლება ამ მნიშვნელობების ზრდის ტემპები. საპროცენტო შემოსავალი დამოკიდებულია შემოსავლის მომტანი აქტივების მოცულობასა და სტრუქტურაზე. ანალიზის პროცესში აუცილებელია ამ აქტივების ზრდის ტემპის შედარება მათი გამოყენებიდან მიღებული შემოსავლის ზრდის ტემპებთან.

მაგ. ბანკთაშორისი სესხებიდან შემოსავლის ზრდა მიანიშნებს ბანკის სპეციალიზაციას ბანკთაშორის ოპერაციებში. ამავე დროს ბანკთაშორისი სესხები შემოსავლის სტაბილური წყაროა, მაგრამ ნაკლებად მომგებიანი.

არაპროცენტოანი შემოსავლის გაანალიზებით, პირველ რიგში უნდა დადგინდეს მათი მოცულობა და სტრუქტურა, განისაზღვროს ბანკის მიერ გაწეული მომსახურების ყველაზე მომგებიანი სახეები, ფორმები, მომხმარებელთ კატეგორიები და ტიპები. ამრიგად, სასურველია ბანკის შემოსავლების ანალიზი შემდეგი თანმიმდევრობით. დასავლური საბანკო მენეჯმენტის ფორმატი ითვალისწინებს, რომ შემოსავლის ანალიზი უნდა უსწრებდეს მოგების ანალიზს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მოგების ფორმირების მთავარ ფაქტორს.

ბანკის ხარჯების ანალიზი - კომერციული ბანკის ხარჯები, შემოსავალთან ერთად, მოგების გამომუშავების აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია. აქაც ყველა ხარჯი იყოფა პროცენტებად და არაპროცენტოდ საპროცენტო ხარჯებს განეკუთვნება ბანკებიდან დეპოზიტებში თანხების მოზიდვის ხარჯები, სხვა მომხმარებლების სახსრები სესხებსა და დეპოზიტებში; სასესხო ფასიანი ქაღალდების, მსგავსი ბუნების სხვა გამოშვებაზე, იჯარისა და სხვა ხარჯებზე. ბანკებში არაპროცენტო ხარჯები მოიცავს საკომისიოს ხარჯებს; შრომის ხარჯები; საოპერაციო ხარჯები; უცხოური ვალუტით და სხვა ღირებულებებით ოპერაციებზე; გაცვლითი კურსის სხვაობები, სხვა მიმდინარე ხარჯები. ხარჯების ანალიზის ამერიკული თუ ევროპულ მიდგომას აქვს ერთი მიზანი - დაასაბუთოს მათი რეალური გაანგარიშება, რაც საშუალებას მისცემს საიმედოდ განსაზღვროს ბანკის მოგება.

ბანკის მოგების ანალიზი - ბუნებრივია, ნებისმიერი ბიზნესის და კომერციული ბანკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოგების მიღებაა.

„მოგების ანალიზი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

გაანალიზებულია ბალანსის მოგება, წმინდა მოგება, მოგება საბანკო საქმიანობის სახეების, შესრულებული ოპერაციების და სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით ;

შეფასებულია ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდში და დინამიკაში მიღწეული მოგების საერთო დონე;

ძირითადში მოგების ანალიზი იწყება ბიზნეს გეგმის მიხედვით, რომელიც ბანკის მენეჯმენტის ნაწილია. იგივე, ახალი ბიზნეს გეგმის შედგენისას ტარდება წინა წლის მოგების მიღწეული დონის ანალიზი მისი მოცულობისა და შემადგენლობის მიხედვით.

ძირითადი ყურადღება ექცევა დაგეგმილი მოგების დონის შეფასებას, რაც საკმარისია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ფორმირებისა და ფინანსური ბაზრის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

მაგ. წმინდა მოგების წილის შემცირება ბალანსის მოგებაში მიუთითებს იმაზე, რომ ბალანსის მოგება იზრდება ბანკში უფრო დაბალი ტემპით, ვიდრე მოგებიდან გაწეული ხარჯების ზრდის ტემპი. ეს ტენდენცია დადებითად არ შეიძლება შეფასდეს.

ბუნებრივია შიდა და გარე სხვადასხვა ფაქტორები გავლენას ახდენენ მიღებული მოგების ღირებულებაზე. შიდა პირობა ასოცირდება შემოსავლის მიღებასთან და საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად ხარჯების წარმოების მენეჯმენტთან. გარე ფაქტორების მნიშვნელობა თვალნათლივ გამოჩნდა კოვიდ-19 -ის მსოფლიო პანდემიის გავრცელების პირობებში. იგი უფრო ფართოა და საბაზრო კომერციული გარემოს მდგომარეობასთან, ახალ საკანონმდებლო-მარეგულირებელ და საანგარიშო პერიოდში მიღებულ სხვა ფაქტორებზე ვითარებაზეა დამოკიდებული.

მოგების ფაქტორული ანალიზის ჩასატარებლად გამოითვლება კაპიტალის უკუგება. მაგ. კაპიტალით მიღებული მოგება დადებითად ფასდება, თუ ეს გამოწვეულია მოგების რეინვესტირებით და არა დამფუძნებლების შენატანების ზრდით.

ამასთან, ტენდენციას დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის მოგების შესაფასებლად. დინამიკაში ანალიზი წლების, კვარტლების და თვეების მიხედვით.

დინამიკაში მოგების ანალიზით შეგიძლიათ განსაზღვროთ შესწავლილი პერიოდის საშუალო მოგება და ღირებულება ფაქტორების გავლენა იქიდან გადახრის სიდიდესაშუალო ღირებულება. სწორედ ამ გადახრების საშუალებით შეიძლება წინასწარ შედეგის ფორმირება. ამიტომ, ბანკების მოგების ანალიზი ძირითადად შემოიფარგლება მისი რეალური ღირებულებების შედარება წინა წლის მონაცემებთან. ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილია წმინდა მოგების ფაქტორული ანალიზი საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლების სხვადასხვა მახასიათებლის გამოყენებით. წმინდა მოგების ცვლილება გეგმასთან ან წინა

პერიოდთან შედარებით გავლენას ახდენს ფაქტორების მიერ, რომლებიც ახასიათებენ საწესდებო კაპიტალის ოდენობას, გადასახადების მართვის ეფექტურობას, ხარჯების კონტროლის ეფექტურობას, აქტივების მენეჯმენტის ეფექტურობასა და რესურსების მართვის ეფექტურობას.

საბანკო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოგების ანალიზისას ერთ-ერთი ამოცანაა საკრედიტო პორტფელის ბალანსის შემოწმება სესხების ტიპების, სესხების ვადების, მათი უსაფრთხოების ხასიათის მიხედვით.

მოგების ანალიზის პროცესში ხდება არა მხოლოდ მოგების ფორმირების, არამედ მისი გამოყენების ეფექტურობის შეფასება. მას ემატება „დაკარგული მოგების“ შეფასება.¹

არაეფექტური საბანკო საქმიანობის შემთხვევაში წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. რომელიც, მეტნაკლებად სცილდება ჩვენს თემას და სხვა სამაგისტრო ნაშრომის საკითხია.

საქართველოს კომერციული ბანკების მოგების ანალიზი ტარდება ანგარიშების ევროპული სისტემის საფუძველზე მომზადებული ანგარიშების გამოყენებით, რაც გარკვეულწილად შეესაბამება ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებს.

ბანკის მომგებიანობა უნდა იქნას გათვალისწინებული ლიკვიდურობის მაჩვენებლებთან და აქტივისა და ვალდებულებების ბალანსის სტრუქტურასთან ერთად. ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომგებიანობისა და ლიკვიდურობის ოპტიმალური თანაფარდობა სწორედ ამიტომ სამაგისტრო ნაშრომის წინა თავებში ამ საკითხებზე გვექონდა მსჯელობა.

3.1. ბანკის მომგებიანობის კოეფიციენტის ანალიზის მეთოდები.

მოგების დაშლის ანალიზისთვის გამოიყენება ისეთი ფინანსური პარამეტრები, როგორცაა: წმინდა მოგება; წმინდა შემოსავალი; საშუალო აქტივები; საშუალო კაპიტალი. ამ ინდიკატორების გამოყენებით, მომგებიანობის ანალიზი ხორციელდება ხუთ ეტაპად. ანალიზის მეორე ეტაპზე გამოითვლება მომგებიანობის შემდეგი მაჩვენებლები.

1. აქტივების მოგება (K1) განისაზღვრება ბალანსის მოგების აქტივებისა და თანაფარდობით. ეს მაჩვენებელი ახასიათებს ყველა აქტივის მომგებიანობის საერთო დონეს.

1

ჯიქია, მ. (2018). *ეკონომიკური ანალიზი გვ. 184-188*. თბილისი.

2. სამუშაო აქტივების მომგებიანობა (K2) განისაზღვრება ბალანსის მოგების თანაფარდობით სამუშაო აქტივების ოდენობასთან. ინდიკატორი (K2) გამომდინარეობს (K) - დან.

3. წმინდა ქონების გამრავლება (K 3) გამოითვლება აქტივების საშუალო ღირებულების და საკუთარი კაპიტალის საშუალო ღირებულების თანაფარდობით.

4. საკუთარი კაპიტალის ანაზღაურება განისაზღვრება წმინდა შემოსავლისა და საშუალო კაპიტალის თანაფარდობით. ეს მაჩვენებელი ახასიათებს კაპიტალის ადეკვატურობას, ეს არის მომგებიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. ეს უნდა იყოს ანალიზის ძირითადი აქცენტი. იგი ზომავს მომგებიანობას აქციონერების თვალთახედვიდან.

საწესდებო კაპიტალის ანაზღაურება (K 5) გამოითვლება კაპიტალის ანაზღაურების შემუშავებისას, როგორც წმინდა შემოსავლის თანაფარდობა საწესდებო კაპიტალის საშუალო ღირებულებასთან. ინდიკატორები (K 1 და K 2) გამოითვლება ყველა აქტივისა და სამუშაო აქტივების საფუძველზე, შესაბამისად ისინი მხოლოდ არაპირდაპირი გზით ახასიათებენ ბანკის ეფექტურობას. ინდიკატორები (K 4 და K 5) ზომავს მომგებიანობას კაპიტალის მფლობელის თვალსაზრისით. ამ ინდიკატორების პირობითი ნაკლი არის ის, რომ ისინი შეიძლება ძალიან მაღალი იყოს თუნდაც არასაკმარისი კაპიტალით ან საწესდებო კაპიტალით.

ამიტომ ამ კოეფიციენტების გაანგარიშებისას სასურველია ბანკის საკუთარი კაპიტალის განსაზღვრისას გაითვალისწინოთ არა მხოლოდ მათი გადახდილი, არამედ გადაუხდელი ნაწილიც. ბანკის გადაუხდელი საწესდებო კაპიტალის თანხა აისახება ბალანსგარეშე ბუღალტრულ აღრიცხვაში.

მესამე ეტაპზე ინდიკატორი ექვემდებარება დეტალურ ანალიზს. იგი იყოფა ორ რაოდენობად - მოგების ზღვარი (M) და აქტივების გამოყენება (A).

სადაც M არის მოგების თანაფარდობა გადასახადის შემდეგ და პროცენტის და არაპროცენტისანი შემოსავლის მთლიანი თანხა;

A - შემოსავლის მთლიანი თანხის თანაფარდობა აქტივების მთლიანი თანხის საშუალო ღირებულებასთან.

ანალიზის ამ ეტაპზე M და A აქტივების მომგებიანობის კომპონენტები ექვემდებარება დეტალურ შესწავლას. M განსაზღვრისას გამოიყენება წმინდა მოგება, ხოლო A - მთლიანი შემოსავალი.

„ანალიზის პროცესში აუცილებელია წმინდა მოგების გამოხატვა შემოსავლის მთლიანი ოდენობით ფორმულის შესაბამისად

ChP \u003d D-R-3-N, (3)

სადაც PE არის წმინდა მოგება;

D არის შემოსავლის საერთო ოდენობა;

P - ხარჯების საერთო ოდენობა;

3 - რეზერვის ცვლილება;

H - ბანკის მიერ გადაუხდელი გადასახადები.

ბანკის შემოსავლის მთლიანი ოდენობა მოიცავს საპროცენტო შემოსავალს, საკომისიო შემოსავალს, უცხოური ვალუტის ანგარიშების გადაფასებიდან მიღებული ფასიანი ქაღალდების, ფასიანი ქაღალდების და ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვის გარიგებებიდან, ფასიანი ქაღალდების და ძვირფასი ლითონების პოზიტიური გადაფასებიდან, REPO- ს ოპერაციებიდან და ა.შ. ...

ბანკის ხარჯების საერთო თანხა (P) მოიცავს საპროცენტო ხარჯებს, საკომისიოს ხარჯებს, აპარატის შენარჩუნებას და კეთილდღეობას, საოპერაციო ხარჯებს უცხოური ვალუტის ანგარიშების გადაფასებიდან, ფასიანი ქაღალდების და ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციიდან, ფასიანი ქაღალდების გადაფასების უარყოფითი შედეგებიდან და ძვირფასი ლითონები, REPO გარიგებებიდან და ა.შ.

3 მნიშვნელობა ნიშნავს სესხის შესაძლო დანაკარგების, ფასიანი ქაღალდების გაუფასურების და სხვა დებულებების რეზერვის მთლიან ცვლილებას.

H- ს ღირებულება არის მოგების გადასახადის თანხა და ბანკის მიერ გადახდილი სხვა გადასახადები.

ანალიზის მეოთხე ეტაპზე ხდება შემოსავლიანობის ცალკეული კომპონენტების (K 1) შესწავლა მთლიანი შემოსავლის ან მთლიანი აქტივების მიმართ. ფორმულის თითოეული კომპონენტისთვის ვლინდება მათი წილი და დინამიკა. გამოვლენილი გადახრები და მათი მიღების მიზეზები საშუალებას იძლევა შეფასდეს და თვისობრივად შეიცვალოს ბანკის ფინანსური საქმიანობა. ამ ეტაპზე ანალიზის გაღრმავების მიზნით, მიზანშეწონილია ცალკე გამოითვალოს წმინდა პროცენტის ზღვარი სესხებზე, ფასიან ქაღალდებზე, სავალუტო ღირებულებებსა და სხვა ოპერაციებზე. ამ მნიშვნელობების განსაზღვრისას გამოიყენება საერთო მნიშვნელი - შემოსავლის მომტანი აქტივები. წმინდა პროცენტის ზღვარი (M1)

განისაზღვრება წმინდა პროცენტის შემოსავლის თანაფარდობით განთავსებაზე და თანხების შეგროვებაზე შემოსავლის გამომუშავებელი აქტივების საშუალო თანხაზე. წმინდა საპროცენტო შემოსავალი არის განსხვავება პროცენტის შემოსავალსა და ხარჯს შორის. ეს მაჩვენებელი, არსებითად, აფასებს ბანკის საკრედიტო პორტფელის მომგებიანობას. თუ პროცენტის მარჟის დადგენისას, ფორმულის მნიშვნელობად გამოყენებულია მთლიანი აქტივები, შემოსავლის მომტანი აქტივების ნაცვლად, განისაზღვრება პროცენტის მთლიანი მარჟის მაჩვენებელი. ამ ინდიკატორის დინამიკა იძლევა ბანკის მენეჯმენტს ინფორმაციას საპროცენტო განაკვეთის, აქტივისა და ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ფასიანი ქაღალდების წმინდა ზღვარი (M2) განისაზღვრება წმინდა შემოსავლის ფასიანი ქაღალდებით, სასესხო ვალდებულებებით და ბირჟაზე შემოსავლის მომტანი აქტივებით. ეს მაჩვენებელი მიზნად ისახავს ბანკის საფონდო პორტფელის მომგებიანობის განსაზღვრას და გამოითვლება ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის თანაფარდობით შემოსავლის მომტანი აქტივების საშუალო ღირებულებასთან. სავალუტო ღირებულებების წმინდა ზღვარი (M3) განისაზღვრება სავალუტო ბაზარზე ოპერაციებისა და უცხოური ვალუტით ანგარიშების გადაფასების და შემოსავლის მომტანი აქტივების წმინდა მოგების თანაფარდობით. ეს მაჩვენებელი მიზნად ისახავს ბანკის სავალუტო ოპერაციების მომგებიანობის გამოთვლას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სავალუტო ბაზარზე ოპერაციების შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის თანაფარდობა შემოსავლის მომტანი აქტივების საშუალო ღირებულებასთან. სხვა ოპერაციებზე წმინდა ზღვარი (M4) განისაზღვრება სხვა ოპერაციიდან წმინდა შემოსავლის თანაფარდობით შემოსავლის მომტანი აქტივების მიმართ. ეს მაჩვენებელი გამოიყენება ბანკის სხვა ოპერაციების მომგებიანობის გამოსათვლელად და წარმოადგენს სხვა ოპერაციიდან შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის თანაფარდობას შემოსავლის მომტანი აქტივების საშუალო თანხასთან.¹

სხვა შემოსავლებისა და ხარჯების შემადგენლობა მნიშვნელოვანია. სხვა შემოსავალში შედის მიღებული დივიდენდები (აქციების გარდა), ჯარიმები, ჯარიმები, მიღებული

1

ქილაძე, ი. (2018). *ფინანსური ანალიზი გვ*, 78-79. თბილისი.

ჯარიმები და სხვა შემოსავალი. სხვა ხარჯებში შედის აპარატის მოვლა, სოციალური და ცხოვრების ხარჯები, ჯარიმები, ჯარიმები, გადახდილი კონფისკაციები და სხვა ხარჯები.

ზემოთ, განვიხილეთ კომერციული ბანკის მომგებიანობის ინდიკატორების დეტალური ანალიზის თანმიმდევრული სქემა I - V ეტაპებზე. მომგებიანობის ინდიკატორების შეფასება სხვადასხვა ხარისხის დეტალებით განისაზღვრება ანალიზის სპეციფიკური მიზნებით.

ამავე დროს, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მომგებიანობის ყველა მაჩვენებელი არ იქნა გათვალისწინებული ანალიზის ყველა ეტაპზე. საბანკო ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკაში ასევე გამოითვლება ოპერაციული მომგებიანობის მაჩვენებელი, შუამავალი შემოსავლის ზღვარი, ყველა აქტივისა და აქტივის მომგებიანობა, რომელიც ქმნის შემოსავალს, მორგებულია არსებული საპროცენტო განაკვეთისთვის და ა.შ.

მომგებიანობის ანალიზის ამ მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით, შემდეგ დასკვნებს ვაკეთებთ.

1. ბანკის მომგებიანობა უნდა განვიხილოთ არა ცალკე, არამედ ლიკვიდურობის, აქტივების სტრუქტურისა და ბალანსის ვალდებულებების მაჩვენებლებთან მიმართებაში. ბანკმა უნდა მიაღწიოს მომგებიანობის, ლიკვიდურობის, სასესხო პორტფელის ხარისხისა და რისკების ოპტიმალურ თანაფარდობას.

2. მოგების (კაპიტალიდან მოგება) თანაფარდობის ანალიზი ხორციელდება წმინდა შემოსავლის, წმინდა მოგების, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლების გამოყენებით. გაითვალისწინეთ, რომ მაჩვენებლები (K 4 და K 5) შეიძლება მაღალი იყოს თუნდაც არასაკმარისი კაპიტალით ან საწესდებო კაპიტალით. საკუთარი კაპიტალის განსაზღვრისას ამ ინდიკატორების გაანგარიშებისას სასურველია მიიღოს არა მხოლოდ მათი გადახდილი, არამედ გადაუხდელი ნაწილი, რომელიც აისახება ბალანსის ბალანსში.

3. ანალიზი ხორციელდება ხუთ ეტაპად. პირველ ეტაპზე გამოითვლება მომგებიანობის ინდიკატორების გამოთვლისას გამოყენებული ინდიკატორები; მეორეზე - მომგებიანობის ხუთი ძირითადი ინდიკატორი, რომელთაგან ოთხი განისაზღვრება საკუთარი კაპიტალის საშუალო ღირებულების თანაფარდობით, ხოლო ერთი - აქტივების მთლიანი ოდენობით. მესამე ეტაპზე განისაზღვრება აქტივების უკუგება, მეოთხეზე - მოგების ზღვარი, ხოლო მეხუთეზე ხდება მომგებიანობის ინდიკატორების შემდგომი დაზუსტება.

4. მომგებიანობის ანალიზი ხორციელდება ანგარიშების ამჟამინდელი სისტემის საფუძველზე, რომელიც ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში ასევე გამოითვლება ოპერაციული მომგებიანობის მაჩვენებელი, ყველა აქტივისა და აქტივის მომგებიანობა, რომელიც ქმნის შემოსავალს, მორგებულია არსებული საპროცენტო განაკვეთით; სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების (ბანკთაშორისი სესხები, თამასუქები, ლიზინგი, ფაქტორინგი და ა.შ.) მომგებიანობა გამოითვლება და გაანალიზებულია საადრიცხვო მონაცემების საფუძველზე.

შესაბამისად, ასეთი ანალიზი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ბანკის საქმიანობის/მოგების უფრო სრულყოფილი შეფასება.

3.2 საქართველოს კომერციული ბანკების მომგებიანობის მდგომარეობის მიმოხილვა

ეკონომიკას ციკლურობა ახასიათებს და როგორც ყველა სხვა ბიზნესს, ისე საბანკო სექტორს შეიძლება ჰქონდეს როგორც მომგებიანი, ისე წამგებიანი წლები. ბოლო ზარალიანი პერიოდი საქართველოს საბანკო სექტორისთვის 2008-09 წლები იყო, რის შემდეგაც სექტორი საკმაოდ მაღალი მომგებიანობით ხასიათდებოდა.


მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის ციკლურობა გათვალისწინებული იყოს და მომგებიანი წლების დროს ხდებოდეს საკმარისი ბუფერების დაგროვება, რათა წამგებიან წელს სექტორი შესაბამის მზადყოფნაში შეხვდეს. ეროვნული ბანკი ბოლო წლების განმავლობაში ეტაპობრივად ამკაცრებდა საზედამხედველო მოთხოვნებს და დღევანდელ გამოწვევას საბანკო სექტორი კარგად მომზადებული ხვდება.

აღსანიხნავია, რომ ბოლო დრომდე 2012 წლამდე ბანკებში საბანკო საქმიანობის ანალიზი პრაქტიკულად არ ხდებოდა; ამის საჭიროება არ არსებობდა, რადგან მკაცრი რეგულირებით განსაზღვრული იყო ნებისმიერი ბანკის ფუნქციონირების შედეგები.

ვინაიდან კვლევის ერთერთი მიზანი იყო საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საქმიანობის შედეგები - მომგებიანობა. საინტერესო იყო იგი საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტენდენციებთან შედარებით შეგვესწავლა, ერთანეთთანაა შედარებული კომერციული

ბანკების აქტივების, ერთ ლარ აქტივზე მოგების დონის და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების დინამიკური მწკრივები.

კომერციული ბანკების ზრდის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მათი აქტივების ცვლილების ტენდენციები. მაგალითისთვის ავიღოთ 2015-2020 წლის მონაცემები, ცხრილებში ნაჩვენებია კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების სტატისტიკა ბოლო 5 წლის მანძილზე,



2015 წლის მდგომარეობით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა აქტივებმა 24.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რომელშიც უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ მთლიანად 79.1% შეადგინა, ხოლო საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3,3 მილიარდ ლარს შეადგენდა რაც მთლიანი აქტივების 13,4% წარმოადგენს

2016 წლის მონაცემებით, კომერციული ბანკების მთლიანმა აქტივმა 28,3 მლრდ ლარს მიაღწია. კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალი 3,9 მლრდ ლარი იყო, რაც მთლიანი აქტივების 13,8 % შეადგენს.

2017 წელს საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანმა აქტივებმა 30,3 მლრდ ლარი შეადგინა კომერციული ბანკების საკუთარმა კაპიტალმა 4 მლრდ ლარი შეადგინა რაც მთლიანი აქტივების 13,2 %-ია,


2018 წლის პირველი აგვისტოს მონაცემებით საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკით არის წარმოგენილი ამათგან 14- საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, 2018 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით საერთო აქტივებმა 35,7 მლრდ ლარს გადააჭარბა, საიდანაც საქართველოს საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4,6 მლრდ ლარს შეადგენდა რაც მთლიანი აქტივების 13% -ია.

2019 წლის მონაცემების მიხედვით კომერციული ბანკების მთლიანმა აქტივმა 40 მლრდ ლარს მიაღწია რომელშიც საქართველოს კომერციული ბანკების აქტივი 5,3 მლრდ ლარს შეადგენდა რაც მთლიანი აქტივების 13,1% შეადგენს.

ხოლო რაც შეეხება 2020 წელს 1 ოქტომბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების აქტივებმა 54,34 მლრდ ლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 36% ზრდაზე მიგვიტოთებს რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია მითუმეტეს COVID 19 ის ფონზე, მთლიანი აქტივის 10,4 %-ს საკუთარი სახსრები წარმოადგენდა რაც 5,46 მლრდ ლარს შეადგენს.

მომდევნო დიაგრამაზე გიჩვენებთ პროცენტების მიხედვით როგორ იზრდებოდა აქტივების მოცულობა საქართველოს კომერციული ბანკების საერთო მონაცემების მიხედვით,

კომერციული ბანკების საერთო აქტივების ზრდის პროცენტული მაჩვენებლები



2015 წელს წინა წელთან შედარებით როგორც დიაგრამაზე ვხედავთ ზრდამ შეადგინა 31% რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია შემდგომ წლებში 2019 ის ჩათვლით შედარებით თანაბრად მიმდინარეობდა აქტივების ზრდის მაჩვენებელი ხოლო 2020 წელს საკმაოდ კარგი 36% ზრდა დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით მიუხედავად

პანდემიური ვითარების გათვალისწინებით.¹

ბანკის ეფექტიანი მართვა არის გარკვეული შიდა რეგულირების სისტემის ნაწილიც, რომელიც მოცემული პირობებისათვის ოპტიმალური ფინანსური შედეგის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მოგების მართვა ბანკის რეალური შემოსავლებისა და ხარჯების,

¹

საქართველოს ეროვნული ბანკი. (n.d.). *nbg.gov.ge*.

თითოეული კონკრეტული სახეობის მომსახურების განხორციელებაზე დანახარჯების აღრიცხვის შესახებ მუდმივი ოპერატიული ინფორმაციის არსებობას ითვალისწინებს.

ეროვნული ბანკის მიერ შეთავაზებული მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების ფორმა, ბუღალტრული ბალანსის მსგავსად, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ინფორმაციისადმი წაყენებულ საჭირო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ამიტომ ბანკის მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშგების საკუთარი ფორმა შემუშავდება, რომელშიც შემოსავლები და ხარჯები ჯგუფდება როგორც ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, ასევე ცალკეული ქვედანაყოფების მიხედვითაც.

აღნიშნული მეთოდის ძირითადი მიზანია ფილიალისათვის ფაქტიური მონაცემების მიხედვით ყველაზე უფრო შემოსავლიანი ოპერაციების სახეობების გამოვლენა, სამომავლოდ ყველაზე მომგებიანი ოპერაციების პროგნოზირებისა და საბანკო პროდუქტის ფასის განსაზღვრა.

გამომდინარე იქედან, რომ მოგება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი წინა წლებთან შედარების დროს, ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ ახასიათებს. ამიტომ, გამოიყენება ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი – მომგებიანობა ანუ რენტაბელობა.

იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად და ხარისხობრივი მაჩვენებელია. მოგებისა და მომგებიანობის შედარებითი დახასიათების დროს, აუცილებელია იმის შემეცნება, მათგან რომელია ფაქტორი (მიზეზი) და რომელია შედეგი.

რაც გულისხმობს, მოგება ახდენს მომგებიანობაზე გავლენას, თუ პირიქით, მომგებიანობა ახდენს გავლენას მოგების სიდიდეზე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება რაოდენობრიობასა და თვისობრიობას შორის არსებული კავშირების ანალიზის საფუძველზე. საერთოდ, თვისობრიობა განსაზღვრავს რაოდენობრიობას.

ეს კანონზომიერება კარგად ჩანს მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების შედარების დროს. მომგებიანობის აუცილებელი დონის შენარჩუნება- ეს არის საწარმოების და საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების ობიექტური კანონზომიერება. მოგების მუდმივი უკმარისობა და მისი დინამიკის არადაამაკმაყოფილებელი დონე მოწმობს ბიზნესისა და რისკის მართვის არაეფექტურობაზე, რაც გაკოტრების ერთ-ერთ მთავარ შინაგან მიზეზს წარმოადგენს. მოგებისა და მომგებიანობის საწარმოთაშორისო ანალიზის მიზანია იპოვოს მოგების მოცულობის გადიდებისა და მომგებიანობის დონის ამაღლების რეზერვები,

ერთგვაროვან საწარმოებთან. მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები; II. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები; III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

3.3 საბანკო სექტორის წმინდა მოგება, 2012-2019 წ

საბანკო სექტორის მომგებიანობა. ბუნებრივია, აქტივების ზრდასთან ერთად ასევე იზრდება საბანკო სექტორის მოგებაც. 2017 წელი სულაც სარეკორდო მაჩვენებლით- 867 მლნ ლარის მოგებით დაასრულა, რასაც თან სდევს არა იმდენად ბიზნესის, არამედ საცალო დაკრედიტების ზრდა, რაც გარკვეულ რისკებს შეიცავს და რაც ჭარვალთანობის ანალიზისას არის განხილული. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა საქართველოს საბანკო სექტორი ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სექტორია, ჩვენ ამასთან ერთად ვხედავთ, რომ ბოლო ხუთი წლის სტატისტიკით საბანკო სექტორის წმინდა მოგება იზრდება, თუ იგივე 2012 წლის მონაცემებით წმინდა მოგება 134 მილიონი ლარი იყო, 2017 წლის ბოლოს მოგების მაჩვენებელი 867 მლნ ლარამდე ანუ 6.5 ჯერ გაიზარდა. საბანკო სექტორის მზარდი მოგება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდით, შემცირებული კომერციული რისკით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებული საბანკო ზედამხედველობის და მომსახურების სისტემით, მაგრამ მეორეს მხრივ დაკრედიტების ზომაზე მაღალი ტემპებით და ნაწილობრივ მაღალი საპროცენტო სპრედით აიხსნება, რის ანალიზსაც კვლევის შესაბამის ნაწილში შემოგთავაზებთ. რაც შეეხება საპროცენტო შემოსავლებს, გასული წლის იანვარ-დეკემბრის მიხედვით შემოსავლები ფიზიკური პირების სესხებიდან 1,584 მლრდ ლარი იყო, რაც სესხებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 64 %-ია, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 870 მლნ ლარი შეადგინა, მთლიანი შემოსავლების 36 %

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავალი განპირობებულია ერთის მხრივ, რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ბიზნეს სესხებთან შედარებით და მეორე, სესხების შედარებით მოკლევადიანობით. ის გარემოება, რომ ბოლო წლებში იზრდება ფიზიკურ პირებზე დაკრედიტების ტემპები, დაკავშირებულია საცალო პროდუქტების, მათ შორის განვადების, სერვისების განვითარებასთან და ხელმისაწვდომობასთან, როგორც საპროცენტო განაკვეთების შემცირების, ასევე ვადიანობის დაგრძელების თვალსაზრისით. აქვე მსურს

ავლნიშნო, რომ ეს ტენდენცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც შესამჩნევია. ტენდენციები და თანამედროვე ინტეგრირებული საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები, მაინც ყველგან იდენტურია. ამ პერიოდში მოგებაზე ასევე დადებითად მოქმედებდა აქტივების ხარისხის გაუმჯობესება. 2012 წლისათვის აქტივებზე დარეზერვების ხარჯი(ზარალი აქტივების საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის შემდეგ მოგება) 870 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 191 მლნ ლარით (28%-ით) მეტია. 2016 წელს ბანკების წმინდა მოგება 679 მლნ ლარი იყო.

საქართველოში სულ 16 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ცალკეული ბანკების მიხედვით, 2017 წელს ყველაზე მაღალი მოგება – 372 მლნ ლარი – “საქართველოს ბანკმა” მიიღო. შემდეგ მოდის “თიბისი ბანკი” 296 მლნ-იანი მოგებით. მესამე ადგილზე “ლიბერთი ბანკია” 52.4 მლნ-ით, ხოლო მეოთხეზე – “ბანკი ქართუ” 36.8 მლნ ლარით. საბანკო სექტორში გამომუშავებული მოგების 87% დასახელებულ ოთხ ბანკზე მოდის. გასულ წელს ზარალი მხოლოდ ერთ ბანკს – “სილქ როუდ ბანკს” ჰქონდა – 0.5 მლნ ლარის.

2016 წელთან შედარებით 2017 წელს ყველაზე მეტად “საქართველოს ბანკის” მოგება გაიზარდა – 156 მლნ ლარით, შემდეგ “თიბისი ბანკის” 39.4 მლნ ლარით. 30.3 და 17.1 მლნ ლარით გაიზარდა “ტერაბანკისა” და “ლიბერთი ბანკის” მოგება. ჯამში, 16 ბანკიდან 10 ბანკის მოგება გაიზარდა, ხოლო 6 ბანკის – შემცირდა. ყველაზე მეტად “პროკრედიტ ბანკის” მოგება შემცირდა – 12.6 მლნ ლარით. თუ პროცენტული ზრდა/კლების მიხედვით ვნახავთ, ყველაზე მეტად “ფინკა ბანკის” მოგება გაიზარდა – 717%-ით, შემდეგ მოდის “იშ ბანკი” 364%-ით. ყველაზე მეტად კი “აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის” მოგება შემცირდა – 85%-ით.¹


¹ საქართველოს ეროვნული ბანკი ბესო ნამჩავაძე, www.nbg.gov.ge

ბანკების წმინდა მოგება

16 ბანკიდან 10 ბანკის მოგება გაიზარდა, ხოლო 6 ბანკის – შემცირდა.

*მლნ ლარი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




საქართველოს საფინანსო ბაზარზე დომინირებენ ბანკები, რომლებიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე ივაჭრებიან. თიბისისა და საქართველოს ბანკზე მთლიანი საბანკო სექტორის როგორც აქტივების, ასევე მიღებული შემოსავლისა და წმინდა მოგების 2/3-ზე მეტი მოდის.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის შემდეგ მოგება) 915 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 45 მლნ ლარით (5.2%-ით) მეტია. 2017 წელს ბანკების წმინდა მოგება 870 მლნ ლარი იყო. კონკრეტულად 2018 წლის ბოლო თვეში - დეკემბერში, ბანკების მოგებამ 119 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წლის დეკემბერში ბანკებმა 153 მლნ ლარის მოგება ნახეს.


2018 წელს მოგების გადასახადის სახით ბანკებმა სახელმწიფო ბიუჯეტში 123 მლნ ლარი გადაიხადეს.

2018 წელს ბანკების ჯამურმა შემოსავალმა 4.2 მილიარდი ლარი შეადგინდა, რომლის 79% საპროცენტო შემოსავლებზე, ხოლო 21% არასაპროცენტო შემოსავლებზე მოდის.

გრაფიკი: კომერციული ბანკების წმინდა მოგება, მლნ ლარებში.



2019 წლის 9 თვის მდგომარეობით, ბაზრის პირველ ადგილს თიბისი იკავებს, რომლის აქტივებიც 17.7 მილიარდ ლარს შეადგენს. თიბისიმ 2019 წლის 9 თვეში 1.2 მილიარდი ლარის შემოსავალი (საპროცენტო შემოსავალს+არასაპროცენტო შემოსავალი) მიიღო, ხოლო მისი წმინდა მოგება კი 2019 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ყველაზე მეტი მოგება TBC ბანკმა გამოიმუშავა, რაც 268.2 მილიონ ლარს შეადგენს (წლიური ზრდა 2.4%). საქართველოს ბანკის აქტივების ზომა 16.2 მილიარდი ლარი, პერიოდის შემოსავალი 1.16 მილიარდი ლარი, წმინდა მოგება კი 262 მილიონი ლარი იყო. წლიურ ჭრილში BOG-ის მოგება 43%-ით არის გაზრდილი. აქტივების ზომის მიხედვით, მესამე ბანკი ლიბერთია (2.07 მილიარდის აქტივები), 2019 წლის 9 თვეში ლიბერთიმ 224.7 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, მისი წმინდა მოგება კი 16.1 მილიონი ლარი იყო. უტა ივანიშვილის კუთვნილი ქართუ ბანკი აქტივების ზომით მეშვიდე, წმინდა მოგების მხრივ კი მეოთხეა. ბანკმა 18.8 მილიონი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა (წლიურ ჭრილში 55%-ით ნაკლები).



1

"საბანკო სექტორის პირველი კვარტლის საოპერაციო მოგებამ 386 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკების წმინდა მოგება ნეგატიურია და მინუს 747 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი აქტივების მხოლოდ 1.5%-ია. ეს, ძირითადად, COVID-19-დან გამოწვეული ნეგატიური მოლოდინებისათვის რეზერვის შექმნით არის განპირობებული. კერძოდ, საბანკო სექტორმა, მარტის მდგომარეობით, 1.2 მილიარდი ლარის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შექმნა და ეს რიცხვი წარმოადგენს მხოლოდ პოტენციურ (და არა რეალიზებულ) დანაკარგს. თავად რეზერვი კი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დანაკარგს ფაქტობრივად ექნება ადგილი, ბანკებს მომავალში საშუალებას მისცემს, თავიდან აირიდოს ფინანსური მდგრადობის რისკები.

წინა პერიოდებში საბანკო სექტორი მომგებიანი იყო. 2019 წელს ინდუსტრიის საშუალო წლიურმა მოგებამ (ROE) 20% შეადგინა, რამაც ბანკებს საშუალება მისცა კაპიტალის ადეკვატურობის ფარდობა (CAR) მაღალ დონეზე აეყვანათ. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ბანკებს უწესებდა დამატებითი კაპიტალის მოთხოვნებს, რამაც ინდუსტრიაში საკმაოდ დიდი კაპიტალის ბუფერი შექმნა, სწორედ მსგავსი სტრესული სიტუაციის გასამკლავებლად.

1

ფორსბსი. (2019). www.forbes.ge. Retrieved from ქართული ბანკების რეიტინგი, წმინდა მოგებისა და აქტივების მიხედვით : <https://forbes.ge/news/7331/qarTuli-bankebis-reitingi>

ამავე დროს, ეროვნულმა ბანკმა ჯერ კიდევ მარტში ბანკებს 1.6 მილიარდის კაპიტალი გამოუთავისუფლა და გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, კაპიტალის დამატებით გამოთავისუფლებაზე. ამ გამოთავისუფლებული კაპიტალის გარდაც, არსებობს გაცილებით მეტი რეზერვი, რომელიც ბანკებს საშუალებას მისცემს მოვლენების უფრო ნეგატიურ განვითარებასაც გაუმკლავდნენ. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში საბანკო სექტორის ყოველწლიური საშუალო მოგება 900 მილიონ ლარს შეადგენდა, 2020 წელს მხოლოდ პირველი 3 თვის საოპერაციო მოგება 386 მილიონი ლარია. გაზრდილი საკრედიტო დანაკარგების გამო, წელს ბანკების წმინდა მოგება, შესაძლოა, ნეგატიური იყოს. თუმცა აღნიშნული სოლიდური საოპერაციო შემოსავლების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ პანდემიის გადავლის შემდეგ ბანკები მომგებიანობას მალევე აღიდგენენ.

მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგება მუდმივად სამართლიანად ასახავდეს ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. მათ შორის, ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ხდება აქტივების ხარისხის კუთხით. გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ქართული საბანკო სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა და ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა, რომ ბანკების შესახებ მიიღონ მნიშვნელოვანი და დროული ინფორმაცია. სწორედ ამიტომ, საბანკო სექტორი ხშირად ხდებოდა არასამართლიანი კრიტიკის ობიექტი (ე.წ. მაღალი მომგებიანობა), მაშინ როდესაც სხვა ეკონომიკური სუბიექტები ვერ უზრუნველყოფენ მაღალი დონის გამჭვირვალობას და, ამდენად, კრიტიკასაც არიდებენ თავს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გონივრული საზედამხედველო პოლიტიკის გატარების შედეგად, მიმდინარე წელს პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად საკმაოდ დიდი ბუფერები არსებობს და საბანკო სექტორის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება", - ნათქვამია სებ-ის განცხადებაში.

არსებული მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სისტემაში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა რეგიონის მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია და ის მთლიანი პორტფელის 1.37%-ს, ანუ 437 მილიონ ლარს შეადგენს.¹

¹ მოპოვებულია bm.ge

წყარო <https://bm.ge/ka/article/ratom-miiges-bankebma-rekorduli-747-mln-iani-zarali---seb-i-mizezebs-ganmartavs/54640>

3.4 საქართველოს კომერციული ბანკების მომგებიანობა 2020 წლის მდგომარეობით

სტატისტიკის მიხედვით, საბანკო სექტორის 2020 წლის პირველი კვარტლის საოპერაციო მოგებამ 386 მილიონი ლარი შეადგინა. წმინდა მოგება ნეგატიურია და მინუს 747 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი აქტივების მხოლოდ 1.5%-ია. ეს, ძირითადად, COVID-19-დან გამოწვეული ნეგატიური მოლოდინებისათვის რეზერვის შექმნით არის განპირობებული. კერძოდ, საბანკო სექტორმა, მარტის მდგომარეობით, 1.2 მილიარდი ლარის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შექმნა და ეს რიცხვი წარმოადგენს მხოლოდ პოტენციურ (და არა რეალიზებულ) დანაკარგს. თავად რეზერვი კი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დანაკარგს ფაქტობრივად ექნება ადგილი, ბანკებს მომავალში საშუალებას მისცემს, თავიდან აირიდოს ფინანსური მდგრადობის რისკები. წინა პერიოდებში საბანკო სექტორი მომგებიანი იყო. 2019 წელს ინდუსტრიის საშუალო წლიურმა მოგებამ (ROE) 20% შეადგინა, რამაც ბანკებს საშუალება მისცა კაპიტალის ადეკვატურობის ფარდობა (CAR) მაღალ დონეზე აეყვანათ. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ბანკებს უწყესებდა დამატებითი კაპიტალის მოთხოვნებს, რამაც ინდუსტრიაში საკმაოდ დიდი კაპიტალის ბუფერი შექმნა, სწორედ მსგავსი სტრესული სიტუაციის გასამკლავებლად.

ამავე დროს, ეროვნულმა ბანკმა ჯერ კიდევ მარტში ბანკებს 1.6 მილიარდის კაპიტალი გამოუთავისუფლა და გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, კაპიტალის დამატებით გამოთავისუფლებაზე. ამ გამოთავისუფლებული კაპიტალის გარდაც, არსებობს გაცილებით მეტი რეზერვი, რომელიც ბანკებს საშუალებას მისცემს მოვლენების უფრო ნეგატიურ განვითარებასაც გაუმკლავდნენ.

ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში საბანკო სექტორის ყოველწლიური საშუალო მოგება 900 მილიონ ლარს შეადგენდა, 2020 წელს მხოლოდ პირველი 3 თვის საოპერაციო მოგება 386 მილიონი ლარია. გაზრდილი საკრედიტო დანაკარგების გამო, წელს ბანკების წმინდა მოგება, შესაძლოა, ნეგატიური იყოს. თუმცა აღნიშნული სოლიდური საოპერაციო შემოსავლების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ პანდემიის გადავლის შემდეგ ბანკები მომგებიანობას მალევე აღიდგენენ.

მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგება მუდმივად სამართლიანად ასახავდეს ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. მათ შორის, ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ხდება აქტივების ხარისხის კუთხით. გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ქართული საბანკო სისტემა ერთ-

ერთი საუკეთესოა და ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა, რომ ბანკების შესახებ მიიღონ მნიშვნელოვანი და დროული ინფორმაცია. სწორედ ამიტომ, საბანკო სექტორი ხშირად ხდებოდა არასამართლიანი კრიტიკის ობიექტი (ე.წ მაღალი მომგებიანობა), მაშინ როდესაც სხვა ეკონომიკური სუბიექტები ვერ უზრუნველყოფენ მაღალი დონის გამჭვირვალობას და, ამდენად, კრიტიკასაც არიდებენ თავს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გონივრული საზედამხედველო პოლიტიკის გატარების შედეგად, მიმდინარე წელს პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად საკმაოდ დიდი ბუფერები არსებობს და საბანკო სექტორის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება საქართველოს ყველა კომერციულმა ბანკმა 2019 წლის მეოთხე კვარტალის ფინანსური შედეგები ეროვნულ ბანკს უკვე წარუდგინა. ქვეყანაში არსებული 15 ბანკიდან პირველ ადგილზე კვლავ "თიბისი ბანკია", რომლის აქტივების ღირებულებამაც 18 მილიარდი ლარი შეადგინა, წმინდა მოგების მხრივაც პირველ ადგილზე "თიბისი ბანკია", რომლის მოგებამაც 2019 წელს 392 მილიონი ლარი შეადგინა. რეიტინგში 17-მილიარდიანი აქტივებით მეორე ადგილზე "საქართველოს ბანკია". "საქართველოს ბანკის" მოგება 2019 წელს 390.4 მილიონ ლარს შეადგენდა.

აქტივების ზომით უმსხვილესი ბანკების სამეულს 2.1-მილიარდიანი აქტივებით "ლიბერთი ბანკი" ასრულებს; წმინდა მოგების მხრივ კი, საბანკო სექტორში 2019 წელს მესამე ადგილზე "კრედიო ბანკი" იყო, რომელმაც 27.7 მილიონი ლარის წმინდა მოგება მიიღო.

ეროვნული ბანკის სტატისტიკიდან ირკვევა, რომ ფინანსურ ზარალზე მხოლოდ ორი - "სილქ როუდ" და "პაშა ბანკებია". "პაშა ბანკის" ზარალი 2019 წელს 8 მილიონი ლარი იყო, "სილქ როუდ ბანკის" ზარალი კი, 210 ათასი ლარი იყო. გასული წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ქართუ ბანკის მოგება კი 22 მლნ ლარი იყო.

კომერციული ბანკების რეიტინგი წმინდა მოგების მხრივ:

- 1 "თიბისი ბანკი" - 392,114,132 ლარი;
- 2 "საქართველოს ბანკი" - 390,435,262 ლარი;
- 3 "კრედიო ბანკი" - 27,699,088 ლარი;
- 4 "ლიბერთი ბანკი" - 26,832,117 ლარი;
- 5 ბაზისბანკი - 24,830,002 ლარი;
- 6 "პროკრედიტ ბანკი" - 23,131,243 ლარი;

- 7 "ქართუ ბანკი" - 22,449,122 ლარი;
- 8 ტერაბანკი - 20,241,573 ლარი;
- 9 "ვითიბი ბანკი" - 13,656,751 ლარი;
- 10 "ხალიკ ბანკი საქართველო" - 7,647,408 ლარი;
- 11 "იშ ბანკი საქართველო" - 5,807,767 ლარი;
- 12 "ზირაათ ბანკი საქართველო" - 3,471,759 ლარი;
- 13 "ფინკა ბანკი საქართველო" - 3,398,621 ლარი;
- 14 "სილქ როუდ ბანკი" - მინუს 210,554 ლარი;
- 15 "პაშა ბანკი საქართველო" - მინუს 8,209,436 ლარი.¹

საქართველოში მოქმედმა ყველა კომერციულმა ბანკმა 2020 წლის პირველ კვარტალში ჯამურად 486 მილიონი ლარის ზარალი მიიღო. ამის შესახებ ბანკების მიერ სებ-ისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშებიდან ხდება ცნობილი. ზარალის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი, ბანკების მიერ 1.2 მილიარდი ლარის შესაძლო დანაკარგების დარეზერვება გახდა. ჯამურად, ქართულმა კომერციულმა ბანკებმა "აქტივების შესაძლო დანაკარგების" ბუფერში 1.22 მილიარდი ლარი დაარეზერვეს, რაც მოსალოდნელი კრიზისიდან გამომდინარე, სესხებზე შესაძლო დანაკარგების თანხას ასახავს. ფინანსური ანგარიშის მიხედვით,

2020 წლის პირველ ნახევარში ყველაზე დიდი მოცულობის წმინდა ზარალი "საქართველოს ბანკს" აქვს და ის 157.2 მილიონ ლარს შეადგენს. მეორე ადგილზეა "თიბისი ბანკი", რომლის ზარალიც 156.4 მილიონი ლარი იყო. ფინანსური შედეგებიდან ირკვევა, რომ 15 კომერციული ბანკიდან 14 ბანკი ზარალზეა. ერთადერთი ბანკი, რომელმაც 2020 წლის პირველი 6 თვე ზარალის ნაცვლად მოგებით დაასრულა "სილქ როუდ ბანკი იყო".

წმინდა მოგება/ზარალის მიხედვით ქართული ბანკების რეიტინგი:

- 1) საქართველოს ბანკი -157.2 მილიონი ლარის ზარალი;
- 2) თიბისი ბანკი -156.4 მილიონი ლარის ზარალი;
- 3) ქართუ ბანკი -26.9 მილიონი ლარის ზარალი;

1

კომერციული ბანკების რეიტინგი წმინდა მოგების მიხედვ. (n.d.). Retrieved from www.bm.ge: <https://bm.ge/ka/article/kommerciuli-bankebis-reitingi-wmindamogebis-mixedvit/48399>

- 4) ვითიბი ბანკი -26.1 მილიონი ლარის ზარალი;
- 5) ლიბერთი ბანკი -20.4 მილიონი ლარის ზარალი;
- 6) ტერაბანკი -19.6 მილიონი ლარის ზარალი;
- 7) ხალიკ ბანკი -19.2 მილიონი ლარის ზარალი;
- 8) პაშა ბანკი საქართველო -16.7 მილიონი ლარის ზარალი;
- 9) ბაზისბანკი -12.9 მილიონი ლარის ზარალი;
- 10) პროკრედიტ ბანკი -11.6 მილიონი ლარის ზარალი;
- 11) კრედო ბანკი -4.7 ლარის ზარალი;
- 12) ფინკა ბანკი -3.3 მილიონი ლარის ზარალი;
- 13) იშ ბანკი -1.7 ლარის ზარალი;
- 14) ზირაათ ბანკი საქართველო - 0.2 მილიონი ლარის ზარალი;
- 15) სილქ როულდ ბანკი 0.25 მილიონი ლარის ლარის მოგება.¹

კომერციულმა ბანკებმა 2020 წლის მაისი 53,353 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულეს. ეს კი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10,631 მილიონი ლარით მეტია, 2019 წლის მაისში ბანკების წმინდა მოგება 63,984 მილიონ ლარს შეადგენდა. ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2020 წლის მაისში კომერციული ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,217 მლნ ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა -52,881 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 20,937 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.

ამასთან, 2020 წლის მაისში ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 362,625 მილიონი ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 306,333 მილიონი ლარი. მაისში კომერციული ბანკების ხარჯებმა 301,914 მილიონი ლარი შეადგინა.²

¹

ფორბსი. (თ. გ.). *ქართული ბანკები ზარალზე არიან - 2020* . მოპოვებული <https://forbes.ge/news/9404/qarTuli-bankebi-zaralze-arian-2020-wlis-l-naxevis-reitingi>-დან

² მოპოვებულია <https://commerciant.ge/ge/post/komerციული-bankebis-mogeba-maishhi-53353-mln-lari-sheadgina>

დასკვნა

მომგებიანობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე, საბაზრო პირობებში, როდესაც მენეჯმენტს მუდმივად სჭირდება რიგ რიგარეშე გადაწყვეტილებების მიღება მომგებიანობის უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორები მრავალი და მრავალფეროვანია. მათი ნაწილი დამოკიდებულია კონკრეტული გუნდების საქმიანობაზე, სხვები დაკავშირებულია წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციასთან, წარმოების რესურსების გამოყენების

ეფექტურობასთან, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების განხორციელებასთან.

მომგებიანობის მაჩვენებლები ფაქტორული გარემოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია ბანკის მოგების ფორმირებისთვის. ამიტომ, ისინი სავალდებულოა შედარებითი ანალიზისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას.

პირველ ეტაპზე გამოითვლება მომგებიანობის ინდიკატორების გამოთვლისას გამოყენებული ინდიკატორები; მეორეზე - მომგებიანობის ხუთი ძირითადი ინდიკატორი, რომელთაგან ოთხი განისაზღვრება საკუთარი კაპიტალის საშუალო ღირებულების თანაფარდობით, ხოლო ერთი - აქტივების მთლიანი ოდენობით. მესამე ეტაპზე განისაზღვრება აქტივების უკუგება, მეოთხეზე - მოგების ზღვარი, ხოლო მეხუთეზე ხდება მომგებიანობის ინდიკატორების შემდგომი დაზუსტება.

მომგებიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით, შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება.

საქართველოს საფინანსო ბაზარზე დომინირებენ ბანკები, რომლებიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე ივაჭრებიან. თიბისისა და საქართველოს ბანკზე მთლიანი საბანკო სექტორის როგორც აქტივების, ასევე მიღებული შემოსავლისა და წმინდა მოგების $\frac{2}{3}$ -ზე მეტი მოდის.

2019 წლის დაზუსტებული მონაცემებით, ბაზრის პირველ ადგილს თიბისი იკავებს, რომლის აქტივებიც 17.7 მილიარდ ლარს შეადგენს. თიბისიმ 2019 წლის 1.2 მილიარდი ლარის შემოსავალი (საპროცენტოშემოსავალს+არასაპროცენტო შემოსავალი) მიიღო, ხოლო მისი წმინდა მოგება კი 2019 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ყველაზე მეტი მოგება TBC ბანკმა გამოიმუშავა, რაც 268.2 მილიონ ლარს შეადგენს (წლიური ზრდა 2.4%). საქართველოს ბანკის აქტივების ზომა 16.2 მილიარდი ლარი, პერიოდის შემოსავალი 1.16 მილიარდი ლარი, წმინდა მოგება კი 262 მილიონი ლარი იყო. წლიურ ჭრილში BOG-ის მოგება 43%-ით არის გაზრდილი.

აქტივების ზომის მიხედვით, მესამე ბანკი ლიბერთია (2.07 მილიარდის აქტივები), 2019 წელს ლიბერთიმ 224.7 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, მისი წმინდა მოგება კი 16.1 მილიონი ლარი იყო. უტა ივანიშვილის კუთვნილი ქართუ ბანკი აქტივების ზომით მეშვიდე, წმინდა მოგების მხრივ კი მეოთხეა. ბანკმა 18.8 მილიონი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა

(წლიურ ჭრილში 55%-ით ნაკლები). 2019 წელს მდგომარეობით ზარალზე მხოლოდ ორი ბანკი - პაშა ბანკი და სილქ როუდ ბანკი არიან.¹

საბანკო სექტორის მოგება საქართველოს მოსახლეობის, მედიის ყურადღებას ხშირად იქცევს. ყურადღების მიქცევის მთავარი მიზეზი არის ის, რომ შეგვიძლია ვნახოთ, რამდენია მოგება საბანკო სექტორში. საბანკო სექტორს ეროვნული ბანკი არეგულირებს და რეგულირების ერთ-ერთი მოთხოვნა – ფინანსური ანგარიშების გამჭვირვალობაა. ბანკები ყოველკვარტალურად აქვეყნებენ სიღრმისეულად ჩაშლილ ფინანსურ ანგარიშებს. სტატიაში ბანკების შესახებ მოყვანილი მაჩვენებლებიც სწორეს ამ ანგარიშებიდან არის.

ჩვენ არ ვიცით, რამდენია მოგება საქართველოს ეკონომიკის სხვა სექტორებში, მაგალითად, ვაჭრობაში, მშენებლობაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, საწვავის იმპორტში და ა.შ., რადგან ამ სექტორში მოღვაწე კომპანიებს ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება არა აქვთ. მეტიც, არც სექტორების ჯამური მოგებები ქვეყნდება. აქედან გამომდინარე იქცევს ბანკების მოგება დიდ ყურადღებას და ეს არ ნიშნავს, რომ ყველაზე მაღალი მოგება საბანკო სექტორშია. ამასთან, ბანკები რომ ფინანსურ ანგარიშებს აქვეყნებენ, ეს მხოლოდ მაღალი გამჭვირვალობის მაჩვენებელია და მისასაღმებელია.

ერთია გამჭვირვალობა და მეორეა, თუ რეალურად რამდენად მაღალია ბანკების მოგება. ამ შემთხვევაში მთლიანად საბანკო სექტორის მოგებას განვიხილავთ. თუმცა, სანამ გარკვეულ შედარებებზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო კომპანიებს რამდენი ექნებათ მოგება, ეს დარეგულირებული არ არის. არც ერთი კანონი არ ირღვევა, თუ ეს მოგება კეთილსინდისიერი გზით არის მიღებული. თუ კეთილსინდისიერი გზით არ არის მიღებული, მაშინ მოგების სიდიდეს მნიშვნელობა არა აქვს, ყველა შემთხვევაში კარგია.

ბანკების მოგება რომ მართლაც მაღალი იყოს, ამაში ცუდი არაფერია, ისე როგორც სახინკლის, მაღაზიის, ფერმისა თუ ქარხნის მოგებაში. საბანკო ბიზნესით დაინტერესებული ადამიანებისთვის, პოტენციური ინვესტორებისთვის და ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესებული ეკონომისტებისთვის, მართლაც აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას, თუ რამდენად მოგებიანია ქართული საბანკო სექტორი. ზოგადად, რაც მეტია სექტორში მოგების დონე, მით მეტია ამ სექტორის განვითარებისა და სექტორში

¹ წყარო Forbes.ge

ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი, რაც მომავალში მომსახურების გაუმჯობესებას და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას შეუწყობს ხელს.

ქართული ბანკების მომგებიანობა უნდა განვიხილოთ არა ცალკე, არამედ ლიკვიდურობის, აქტივების სტრუქტურისა და ბალანსის ვალდებულებების მაჩვენებლებთან მიმართებაში. ამასთან, მომგებიანობის ანალიზი ხორციელდება ანგარიშების ამჟამინდელი სისტემის საფუძველზე, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ამრიგად, ბოლო ათი წლის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ საბანკო სექტორი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა, განვითარდა და გაფართოვდა. მაგრამ, კომერციული ბანკების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ასტიმულირებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, რასაც შედეგად დასაქმების ზრდა უნდა მოჰყვეს.

კომერციული ბანკების ადეკვატურ და სამართლიან საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკა განვითარებული და სტაბილური გახადოს. მაგრამ ასევე, შეუძლია პირიქითაც, განვითარებული ეკონომიკა ჩამოშალოს. ამიტომ, მოწესრიგებულ და ქვეყნის განვითარების მიმდინარე ამოცანების ადეკვატური პროექტების და იდეების დაფინანსება და დაკრედიტება უნდა იყოს საქართველოს ყველა კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძველი.

საქართველოს ეკონომიკის ზრდაში კომერციული ბანკების გააქტიურების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: • კომერციული ბანკების მიერ მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროექტების დამუშავება და განხორციელება; • ინოვაციური პროექტების მოძიება და დაკრედიტება; • ახალგაზრდების საქართველოში დასაქმების პროექტების შემუშავება მთავრობასთან ერთად და მათი დაკრედიტება დაბალი საპროცენტო განაკვეთიანი სესხებით

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასიალაი ვ., საბანკო საქმე სასაწავლო- პრაქტიკული სახელმძღვანელო (პირველი გამოცემა). სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2018
2. კოვზანაძე ი., გ.კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. 2014

3. კუნჭულია პ., ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში (Ph.d.in Business Administration) წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი თბ. 2014
4. მუშკუდიანი ზ., კომერციული ბანკების ლიკვიდობის ანალიზი და მართვა ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2010 №13
5. როგორ უნდა შექმნას საშუალო სიდიდის ბანკმა აქტივ-პასივების მართვის საკუთარი სისტემა სახელმძღვანელო თბ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 2011
6. ქოქიაური, ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, თბ., 2010
7. ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) სახელმძღვანელო თბ. 2011
8. საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის ანგარიში www.nbge.ge
9. Dr. Eugene F. Brigham, Financial Management: Theory & Practice: 15th Edition, 2016
10. Raymond Brooks, Financial Management: Core Concepts, Student Value Edition Plus MyLab Finance with Pearson eText -- Access Card Package (3rd Edition) 2015
11. Charles Menifield, The Basics of Public Budgeting and Financial Management, Third Edition, 2017
12. ბიზნეს მედია <https://bm.ge/ka/article/ratom-miiges-bankebma-rekorduli-747-mln-iani-zarali---seb-i-mizezebs-ganmartavs/54640>
13. <https://forbes.ge/news/9404/qarTuli-bankebi-zaralze-arian-2020-wlis-I-naxevis-reitingi>
14. საქართველოს საბანკო ასოციაცია <http://www.association.ge/>
15. იმედი ნიუსი <https://imedinews.ge/ge/ekonomika/139152/erovnuli-banki-komertsiuli-bankebis-mier-gatsemuli-seskhebis-motsuloba-078it-gaizarda-da-pirveli-aprilisatvis-3499-mlrd-lari-sheadgina>
16. კომერსანტი <https://commerciant.ge/ge/post/komerciuli-bankebis-mogeba-maishhi-53353-mln-lari-sheadgina>